საკითო ბაჯები

№32 (624)
ოთხშაბათი
8 სექტემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

ევროპიდან ევროპისკენ და ცოტა მარცხნივ...

ძვირფასო ევროპარლამენტარებო, „ქართულ ოცნებას“ რა პირით ეუბნებით, რუსული ორბიტისკენ იხრებითო, როცა შუაგულ ევროპაში, ევროპარლამენტში, „ევროპის სახალხო პარტიის“ სახით, რუსეთის დუმის პარტიული ფილიალია გახსნილი?

რა ქნას ამ პატარა საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ – ცალკე რუსულ ოკუპაციას ებრძოლოს, ცალკე კიდევ ევროსტრუქტურებში მოკალათებული დასავლურად გადაცმული რუსული აგენტურის იერიშები მოიგერიოს?

ზაზა შათირიშვილი:

ჩვენ დღესაც გავრილოვის ღამეში ვცხოვრობთ

ეს არჩევნები იქნება ჩაწოლილი საქონელის ბაზრიდან გატანა

ლაშა გვასალია:

სამეგრელოში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს

ანზორ მელია ზუგდიდის მერი რომ გახდება, ეს არის აბსურდი და ბუტაფორია

კობა ნაყოფია – სააკაშვილის „ოქროს ბიჭუნა“, რომელიც დღემდე ოქროს კვერცხებს დებს ნაცების ოგვაჯეში

რა ქენი გუდუნა ეს?

ამ არჩევნებში მთავარი კონკურენტები იქნებიან გახარია და ოგბუნუჯუ – მათი პროგრამები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს

რატომ არ ეკარება ზოგ ადამიანს კორონავირუსი?

პოლიტიკური მკვლელობები

მთავარი სამიზნე – მსოფლიოს ლიდერები

უცნაური სიყვარულის ამბავი, რომელმაც სრულიად საბჭოთა კავშირი შეძრა

„საკითო ბაჯები“ – ბაჯები მოაჯიროვნე მკითხველისთვის

ევროპიდან ევროპისკენ და ცოტა მარცხნივ...

● ძვირფასო ევროპარლამენტარებო, „ქართულ ოცნებას“ რა პირით ეუბნებით, რუსული ორბიტისკენ იხრებითო, როცა შუაგულ ევროპაში, ევროპარლამენტში, „ევროპის სახალხო პარტიის“ სახით, რუსეთის დუმის პარტიული ფილიალია გახსნილი?

● რა ქნას ამ პატარა საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ – ცალკე რუსულ ოკუპაციას ებრძოლოს, ცალკე კიდევ ევროსტრუქტურებში მოკალათებული დასავლურად გადაცმული რუსული აგენტურის იერიშები მოიგერიოს?



ვახტანგ ხარჩილავა:

საქართველოს მთავრობა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით, დღეს იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელსაც ღირსების გრძნობა გააჩნია.

ცხადია, ეს ამბავი ყველა თავმოყვარე და თავისი ქვეყნის პატრიოტ ქართველს უნდა უხაროდეს და უნდა ეამაყებოდეს, თუნდაც ოპოზიციაში იყოს ამ ხელისუფლებასთან, თუმცა სიხარული და სიამაყე კი არა, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა უდიდეს ცოდვად და მკრეხელობად უთვლის საქართველოს მთავრობას, რომ მან გაბედა და ევროპავშირის სესხზე უარი თქვა.

— ეს არის დასავლურ ორიენტაციაზე და დასავლურ ღირებულებებზე უარის თქმა! „ქართული ოცნება“ საქართველოს რუსულ ორბიტაზე აბრუნებს! „ქართულმა ოცნებამ“ უღალატა ევროპას! — ასეთი მკაცრი ბრალდებები ისმის ოპოზიციის მხრიდან „ქართული ოცნების“ მისამართით, თუმცა ამ ბრალდებებს არანაირი მტკიცებულება და არგუმენტი არ ახლავს თან.

— სესხი კი არა, დახმარება იყო ეს და ამ გაჭირვების დროს „ქართულმა ოცნებამ“ დახმარებაზე თქვა უარიო, — ამტკიცებს ნიკანორ მელია, ერთდროულად სხვადასხვა ორბიტაზე რომ ატრიალებს მარჯვენა და მარცხენა თვალს და მკლავებს არასინქრონულად იქნევს.

კი, ბატონო, თუნდაც დახმარება იყოს... დახმარებაზეც შეიძლება უარი თქვა, გააჩნია, რისთვის გაძლევენ ამ დახმარებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი აჟიოტაჟი, დიდი განგაში, დიდი ისტერიკაა ატეხილი — როგორ გაბედა „ქართულმა ოცნებამ“ და თუნდაც სესხზე, გნებავთ, დახმარებაზე, უარი როგორ უთხრა ევროკავშირს?

მე თუ მკითხავთ, ოპოზიციის მიერ გამოხატული ეს რეაქციაა ზუსტად მონური, ქვეშევრდომული, პატრონყმური ფსიქიკის გამოვლენა.

მართალია, ოპოზიცია, მისი რადიკალური ნაწილი, ზოგჯერ თვითონ, ზოგჯერ დაქირავებული აქტივისტების პირით, მონებს ეძახის „ქართულ ოცნებას“, მაგრამ, როგორც გაირკვა, სინამდვილეში, თავად ოპოზიციაა მონური ფსიქიკით შეპყრობილი და დაკომპლექსებული.

როგორც გაირკვაო, კი ვთქვით, მაგრამ პირადად ჩემთვის, ისე, როგორც ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისთვის, კარგა ხანია გარკვეულია, რომ „ნაცმოძრაობა“ მონური ძალაა, რომელიც საკუთარი ხალხის დამონების და დაბეჩავების გზით ცდილობდა პატრონების გულის მოგებას.

„ნაცმოძრაობა“ რამდენიმე პატრონის მონა იყო (და არის) ერთდროულად.

„ნაცმოძრაობა“ ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი დაქვემდებარების მონაა, საეგზეკუციო-სადამსჯელო დესანტია, რომელიც სასტიკად გაუსწორდა ქართველ ხალხს და ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ისეთი მასშტაბების მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენა, ნებისმიერ გულქვა და დესპოტ დამპყრობელს გადაამეტა.

„ნაცმოძრაობისთვის“ საქართველო არასოდეს ყოფილა სამშობლო; აქედან გამომდინარე, მისთვის პრიორიტეტი სახელმწიფოებრივი, ეროვნული ინტერესები კი არა, არამედ ამ ინტერესების საკუთარი პოლიტიკური და კარიერული მიზნებისთვის, დიდი ფინანსური მაქინაციებისთვის ეფექტურად გამოყენების საშუალება იყო.

„ნაცმოძრაობა“ ფულუროა...

ამ, გარეგნულად ომახიანი, ხაფი ხმით მოყვირალი, ვითომ მამაცი, გულადი და უშიშარი ძალის შიგნით ყოველთვის იმალებოდა მფრთხალი, მშიშარა, ქვეშაფსია მონა, რომელიც პირველსავე დაცაცხანებაზე მიწაზე ემხობოდა და ფორთხვას იწყებდა მტრის ფეხებთან.

აი, ასეთი ყაიდის ორგანიზაციისთვის, ცხადია, გულწრფელად გასაოცარი და გასაკვირია ის ნაბიჯი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა.

ნახეთ, რა გააკეთა „ნაცმოძრაობამ“, როცა „ქართულმა ოცნებამ“ სესხის აღებაზე უარი განაცხადა — ეგრევე გავარდა და ფაცხაფუცხით მოაწერა ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს, რითაც მკაფიოდ მიანიშნა დასავლეთს — მე ვარ ის ძალა, რომელიც მზად არის, უსიტყვოდ შეასრულოს ყველა თქვენი სურვილი, უსიტყვოდ მოაწეროს ხელი ყველაფერზე, რაზეც მიგვითითებთ. „ქართული ოცნება“ ურჩი და თავხედი ძალაა, სამაგიეროდ, მე ვარ მონა, მიყმეთ და მიმსახურეთო.

„ნაცმოძრაობა“ მართლაც არის ის ძალა, რომელიც უყოყმანოდ გაწირავს საქართველოს, თუ ეს მის პოლიტიკურ ინტერესებს, მის ეგოისტურ ზრახვებს დასჭირდება.

„ნაცმოძრაობამ“ ერთხელ უკვე გააკეთა ეს, როცა 2008 წლის აგვისტოში რუსული ტანკის მუხლუხოებს დაუნანებლად შეუგდო საქართველო.

თუ უბრძანებენ, ის ახლაც იგივეს გააკეთებს და არც ახლა დავენანებით...

●

70 წლის განმავლობაში ზემოდან ბრძანებებს, პაჟალუსტა-პაჟალუსტას ძახილს და ყველაფერზე მორჩილად თავის კანტურს ნაჩვევი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობა და თავისუფლება რთულად აღსაქმელი და რთულად მისაღები ღირებულებები აღმოჩნდა.

გაირკვა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე არანაკლებ ძნელი მისი შენარჩუნება ყოფილა.

ისიც გაირკვა, რომ დამოუკიდებლობა ერთჯერადი აქტი არ არის და მისი შენარჩუნებისთვის თურმე ყოველდღიური ბრძოლა და თავდადებაა საჭირო.

დამოუკიდებლობა ყოველ წუთს, ყოველ საათს, ყოველდღე უნდა მოიპოვო, რომ არ დაკარგო და ხელიდან არ გამოგეცალოს.

აი, ამ მკაცრი განრიგით ცხოვრებისთვის კი საქართველო მზად არ აღმოჩნდა და ჩვენც სიმწრით და ტანჯვით მოპოვებული დამოუკიდებლობის ნაწილ-ნაწილ დათმობა და გასხვისება დავიწყეთ.

ვიღაც-ვიღაცები მალევე მიხვდნენ, რომ ეს ბიზნესი იყო, ძალიან უხვშემოსავლიანი, დიდი მასშტაბების ბიზნესი, რომელსაც, ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ნაწილ-ნაწილ ეწირებოდა, სამაგიეროდ, მილიონები და მილიარდები მიედინებოდა და მოედინებოდა აქეთა მხრიდანაც და იქითა მხრიდანაც.

მართალია, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის სავალდებულო და აუცილებელი ყველა ატრიბუტიკა გვქონდა — სახელმწიფო დროშასაც ვაფრიალებდით, სახელმწიფო ჰიმნსაც ვაგუგუნებდით, მაგრამ ეს ყველაფერი ფიქცია იყო — სინამდვილეში, ჩვენი ქვეყანა უცხოელების ინსტრუქციებით და დირექტივებით იმართებოდა!

ბოლოს იქამდე მივედით, რომ ყოვლად დანაშაულებრივი, ყოვლად ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგი „იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა“, მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადეს და ყიდეს და ყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და რასაც მუშტარი ჰყავდა.

ერთადერთი, სინდისი ვერ გაყიდეს, რადგან სინდისი მანამდე ჰქონდათ „გასუხარებული“, სანამ ამ ლოზუნგს გამოფენდნენ სამოქმედო გეგმად.

ბევრჯერ ვთქვი და ალბათ, კიდევ ბევრჯერ მომიწევს იგივეს განმეორება: რა გახდა რამდენიმე კვალიფიციური ეკონომისტი ან თუნდაც რამდენიმე კვალიფიციური ბუღალტერი, ავიღოთ და ჩამოვწეროთ, რა ქონება ჰქონდა, რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამდენი ფაბრიკა-ქარხანა, რამდენი საწარმო ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ანუ ჩავატაროთ ქვეყნის სრული ინვენტარიზაცია და ბოლოს ისიც ვნახოთ, რა დარჩა ამ საერთო სახალხო ქონებიდან 2012 წლის 1 ოქტომბერს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო დღეს.

დიდ დანაკლისს ვიპოვით, უზარმაზარ გაფლანგვას აღმოვაჩენთ, რომ არაფერი ვთქვათ 20%-ით დაპატარავებულ და შემცირებულ საქართველოზე.

აი, ამ ინვენტარიზაციას თუ ჩავატარებთ, მაშინ რეალურად ციფრებში გამოხატულს დავინახავთ, თუ რა ფასად გაიყიდა და გასხვისდა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, უმოკლეს დროში, სულ რამდენიმე წელიწადში, საქართველო, ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკა, უღარიბეს ქვეყნად იქცა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი გახდა მიზეზი ქვეყნის გაჩანაგებისა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

მთავარი მიზეზი, როგორც ვთქვით, ის მონური, ქვეშევრდომული ფსიქიკაა, რის გამოც პასუხისმგებლობის აღების გეშინია და შენს უფლებებს და მოვალეობებს სხვებს გადააბარებ ხოლმე.

მონობა ადვილია, თავისუფლებაა ძნელი...

„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი უნიჭო და უთავმოყვარო სატელიტები დღეს ისევ უსიტყვო მორჩილებისკენ და თავდადრეკისკენ მოგვიწოდებენ და „ქართულ ოცნებას“ დასავლური ორიენტაციის ღალატში ადანაშაულებენ, რაც სრული ნონსენსი და უტიფარი დემაგოგიაა.

●

— ისინი (იგულისხმება დასავლეთი — ვ.ხ.) ჩვენ იმიტომ გვეხმარებიან, რომ უკეთესები გავხდეთ, ჩვენ კი დახმარებაზე უარს ვამბობთ, — ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა ბოლო ხანებში „ქართული ოცნების“ ოპონენტებისგან.

არის ამ ფრაზაში რაღაც ისეთი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქვეტექსტი, რომელიც ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას ლახავს და აკნინებს, თუმცა ამის მთქმელებს ეროვნული თავმოყვარეობა დიდი ხანია ატროფირებული აქვთ.

როცა ვიღაც ცდილობს, რომ უკეთესი გაგხადოს, ამ კეთილშობილური სურვილის მიღმა ისიც იგულისხმება, რომ ამის მოსურნე ფიქრობს, რომ თვითონ არის შენზე უკეთესი, თვითონ დგას შენზე მაღლა და ცდილობს, შენც იმ სიმაღლეზე ამოგიყვანოს.

არადა, არავინ არავისზე უკეთესი არ არის, არავინ არავის არაფრით არ აღემატება.

ჩვენ შეიძლება ვიყოთ მეტ-ნაკლებად განსხვავებულები, მაგრამ არა ერთმანეთზე უკეთესები.

არც ამერიკელი, არც ევროპელი არაფრით არ არის ქართველზე უკეთესი, ისე, როგორც ქართველი არ არის ამერიკელზე და ევროპელზე რაიმეთი აღმატებული.

ევროპელები და ქართველები, ამერიკელები და ქართველები ბევრი რაღაცით ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ბევრი რამით განვსხვავდებით და არც ერთი მხარე არ უნდა ცდილობდეს, ეს განსხვავებულობა მოშალოს და ერთმა მეორე დაიმსგავსოს, რადგან ეს არის იმ ღვთის ბეჭდის, ღვთის მიერ ბოძებული პირადობის მოწმობის გადაკეთების და გაყალბების მკრეხელური მცდელობა.

სამწუხაროდ, ჩვენი დასავლეთელი მეგობრების, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან ზოგჯერ ირღვევა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპზე აგებული ურთიერთობის ნორმები და ეს ნორმები უფროსისა და ხელქვეითის, ზემდგომისა და ქვეშევრდომის ურთიერთობის ფორმებს ემსგავსება.

ჩვენ სწორედ ურთიერთობის ასეთ ფორმებს გავექეცით, თორემ მოსკოვს ვაშინგტონი ჩაენაცვლებოდა თუ ბრიუსელი, რა შეღავათია ჩვენთვის.

უკეთესობისკენ უნდათ თქვენი შეცვლა, თქვე უმადურებო, თქვენ კი ამას ვერ აფასებთო, რომ გვეუბნებიან ვიღაც-ვიღაცები, თუ თავს არ მოვისულელებთ და თვალებს

არ დავიბრმავებთ, ყოველთვის არ არის საქმე ასე მარტივად.

ვთქვათ და, პრაიდის ჩატარებას თუ დავთანხმდებოდით, უკეთესები გავხდებოდით?

როცა ამ „მნიშვნელოვან“ ღონისძიებაზე უარი ვთქვით, რატომ გახდა ეს დასავლეთის მხრიდან დიდი წყენის და საყვედურის საბაბი, რომელსაც ღია და დაუფარავი მუქარები მოჰყვა?

საქართველო კავკასიის რეგიონში დასავლეთის ერთადერთი საყრდენი და მართლაც ერთგული სტრატეგიული პარტნიორია, რასაც კინაღამ ხაზი გადაესვა იმის გამო, რომ ლგბტ თემის ხუშტურებზე არ გავიარეთ.

ნუთუ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის და პრაიდის ჩატარების საკითხი ერთი და იგივე მნიშვნელობის ღირებულებებია?

●

ყველაზე მძიმედ შესაგუებელი უსამართლობაა.

უსამართლობა მგონია, როცა „ქართულ ოცნებას“ უკიჟინებ, სასამართლო რეფორმები ჩაატარეო და ამ დროს სასამართლოს რეფორმების აუცილებლობაზე კრინტი არ დაგიძრავს მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ დროს სასამართლო განაჩენების 98% გამამტყუნებელი იყო და ციხეები უდანაშაულო ადამიანებით იყო გამოტენილი.

უსამართლობა და ორმაგი სტანდარტებით მოქმედება მგონია, როცა ჩვეულებრივ კრიმინალებს პოლიტპატიმრებს არქმევ და ხელისუფლებას მათ გათავისუფლებას აიძულებ, ხოლო პარლამენტის შენობაზე იერიშის მიტანის ორგანიზატორს თავად უხდი გირაოს, რითაც მსგავს უმძიმეს დანაშაულზე დაუსჯელობის პრეცედენტს ქმნი.

უსამართლობა მგონია, როცა ქვეყანას კოაბიტაციის ბორკილებით შებოჭავ, რომ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის შემოქმედებმა ოპოზიციური პარტიის სტატუსი მიიღონ, ხოლო ამ რეჟიმის მთავარი რეჟისორი და სულისჩამდგმელი, უამრავი დანაშაულის ჩამდენი ავაზაკი, რეზერვში გყავდეს მოყუჩებული და ქვეყნისა და მისი ხელისუფლების დაშანტაჟების და ათასგვარი პროვოკაციის და ავანტურის აგორების უფლებას აძლევდე.

უსამართლობა, ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფა და აბუჩად აგდება, ქართველი ხალხის შეურაცხყოფა მგონია, როცა გზამკვლევად და სახელმღვანელოდ სახელდებულ დოკუმენტში ჩაწერ, რომ 2020-ის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ანულირებული იქნება, თუ მმართველი პარტია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 43%-იან ბარიერს ვერ გადალახავს.

სად, როდის, რომელ სახელმწიფოში მომხდარა მსგავსი რამ, რომ საქართველოში მოხდეს?

არ არის ეს უდიდესი შეურაცხყოფა იმ მილიონამდე ადამიანის, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი?

ეს არის ის დემოკრატია, ძვირფასო ევროპელებო, რომელსაც თქვენ გვასწავლით, გვასწავლით და ჩვენ, გონებაჩლუნგებმა ვერა და ვერ ვისწავლეთ?

ვითომ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და განვითარებას ემსახურება ეს დოკუმენტი, რომელსაც ქართველები ირონიით შარლ მიშელის ბიბლიას ეძახიან, თუ ოპოზიციური პარტიებისთვის, უფრო ზუსტად, „ნაცმოძრაობისთვის“ მეორე შანსის მიცემას, რომ არჩევნებში შვიდჯერ ჩაფლავებულმა „ნაცმოძრაობამ“ იქნებ, მერვე ცდაზე მაინც მიაღწიოს საწადელს.

კი, მაგრამ, რა დამსახურებისთვის ვაძლევთ ამ განსაკუთრებულ პრივილეგიებს „ნაცმოძრაობას“?

ნუთუ იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის განმავლობაში ქვეყანა ერთ დიდ ციხედ და გულაგად აქცია, სადაც ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, ქონებას ართმევდნენ.

იქნებ, იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობამ“ თავისი მოღალატეობრივი და უგუნური პოლიტიკის წყალობით, საქართველოს ტერიტორიის 20% რუსებს უფეშქაშა.

ეს ამბავი შეიძლება მართლაც დიდ დამსახურებად ეთვლებოდეს „ნაცმოძრაობას“ ევროპარლამენტის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი პარტიის, „ევროპის სახალხო პარტიის“ წინაშე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს და მეგობრობს რუსეთთან, პარალელურად კი წლებია, „ნაცმოძრაობის“ პარტნიორი პარტიაა.

ნუთუ საერთოდ არ აღგიძრავთ არანაირ ეჭვს ეს ფრიად უხერხული და საჩოთირო გარემოება?

ძვირფასო ევროპარლამენტარებო, „ქართულ ოცნებას“ რა პირით ეუბნებით, რუსული ორბიტისკენ იხრებითო, როცა ჭუაგულ ევროპაში, ევროპარლამენტში, „ევროპის სახალხო პარტიის“ სახით, რუსეთის ლუმის პარტიული ფილიალია გახსნილი და რუსეთი სწორედ ამ „ფილიალის“ მეშვეობით ცდილობს, სერიოზული გავლენები მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

არ იცით თქვენ ეს ამბავი და ახლა პირველად გაიგეთ ჩემგან, პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო ევროპარლამენტიდან?

როგორ არის დაქსელილი მთელი მსოფლიო რუსული სპეცსამსახურების და აგენტურის ქსელით და როგორ მოქმედებენ ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში დასავლური პოლიტიკური წრეების ეგიდით, არა მგონია, ეს მაინც არ იცოდეთ თქვენ, ყოვლისმცოდნეებმა.

რა ქნას ამ პატარა საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ — ცალკე რუსულ ოკუპაციას ებრძოლოს, ცალკე კიდევ ევროსტრუქტურებში მოკალათებული დასავლურად გადაცმული რუსული აგენტურის იერიშები მოიგერიოს, რომლებიც დემოკრატიის სახელით, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებების სახელით გვიტევენ და იქითკენ მიგვერეკებიან, სადაც ჩიხია?!

კარგად მიმოიხედეთ გარშემო და კარგად დაგვაკვირდით, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით.

რუსულ ალყაში ვართ ჩვენ, ბატონებო, თქვენ კიდევ, იმის ნაცვლად, ამ ალყის გარღვევაში დაგვეხმაროთ, სანქციების დაწესებით გვემუქრებით, დახმარების შეწყვეტით გვემურებით.

ბარემ ჩაგვაბარეთ ამ რუსეთს და თქვენც დაისვენებთ და ჩვენც.

●

ქვეყნის ინვენტარიზაცია ჩავატაროთ-მეთქი, ვთქვი ზემოთ.

ჩავატაროთ და ვნახავთ, რომ „ქართულ ოცნებას“ არაფერი გაუსხვისებია, არაფერი გაუყიდია, ერთი მისხალი არ მოუკლია იმ ქვეყნისთვის, რომელიც 2012 წელს ჩაიბარა.

ყველა უბედურება 2012 წლამდე მოხდა, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ფაქტობრივად, რუსეთზე გააჩუქა ნახევარი საქართველო, მაგრამ მისთვის არც ევროკავშირიდან, არც აშშ-ის კონგრესიდან არავის უთქვამს, ქვეყანას რუსულ ორბიტაზე აბრუნებო.

მაშინ „ქართულ ოცნებას“ რატომ ბრალდება ის, რაც მას არ გაუკეთებია, უფრო ზუსტად, რისი გაკეთება აზრადაც არ მოსვლია?

რატომ ხდება ასე? რა არის ამის მიზეზი?

ამ კითხვებზე პასუხი არსებობს და ეს პასუხი იმდენად გამაოგნებელი და შემაძრწუნებელი შეიძლება იყოს ქართველი ხალხისთვის, სჯობს, მოცემულ სიტუაციაში ამ თემაზე საუბრისგან თავი შევიკავოთ, თუმცა ეს საუბარი აუცილებლად უნდა შედგეს და უნდა შედგეს არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, არამედ ქართველი საზოგადოების ფართო წრეების, ქართველი ხალხის აქტიური ჩართვით.

ერთხელ უკვე ნათქვამს კიდევ გავიმეორებ:

ქართველი ხალხი არ არის მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდამჭერთა ერთობა, ქართველი ხალხი გაცილებით მეტია და გაცილებით სერიოზული ძალაა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.

ქართველ ხალხს ლეგიტიმური უფლება აქვს, იცოდეს, რა ხდება მის თავს, რა ხდება მის სამშობლოში, რა არის ამ გაუთავებელი ორომტრიალის, ამ მუდმივი რყევების და არასტაბილურობის ნამდვილი მიზეზი.

●

— საქართველომ უკვე გააკეთა თავისი არჩევანი და ეს არჩევანი არის ევროპა! — ხშირად გაიგონებთ მსგავსი შინაარსის ფრაზას.

შეცდომაა ამის თქმა.

ევროპა საქართველოს არჩევანი კი არ არის, საქართველო თავად არის ევროპა, მისი ნაწილი.

ჩვენი სწრაფვა ევროპისკენ, ეს არის სწრაფვა ევროპიდან ევროპისკენ, ცოტა მარცხნივ, გულისკენ, რომელსაც ვერა და ვერ გავაგებინეთ, რომ ამ გულზე ბედისწერით მიერთებული ერთი ძარღვი ვართ...

ჩვენ დღესაც გავრილოვის ლაბეში ვცხოვრობთ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:

— ზაზა, ხელისუფლებამ ევროკავშირის დახმარებაზე უარი თქვა, რასაც მაშინვე, მოჰყვა რეპლიკები: მმართველი ძალა ევროპისგან განზე გადგა და რუსეთისკენ იქცია პირიო. რა შეიძლება, დღეს, ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე ვთქვათ?

— მოდი, ასე ვთქვათ: ბოლო 30 წლის განმავლობაში რასაც ვუყურებთ, ზოგად დასავლურ სივრცეში, ძირითადი, აქტორები აშშ და საქართველო არიან. ანუ, ჩვენი მთავარი პარტნიორი აშშ გახლავთ. რაც შეეხება ევროპას, იგი, ჩვენი რწმენით, როგორც პარტნიორის პარტნიორი ისე გაიაზრება. არსებობს ზოგადი დასავლეთი, ევროპა და ამერიკა, სადაც ევროპა, გარკვეული თვალსაზრისით, მედიატორის არა, თუმცა, უფროსი ძმის როლს ასრულებს. ჩვენ, ამ შემთხვევაში, შუათანა ძმა ვართ. დასავლეთის ლიდერი, დღემდე, მაინც, აშშ-ია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მდგომარეობა, სრულიად გასაგებია. ჩვენ, მოვიაზრებით როგორც დასავლეთის უკიდურესი, ერთ-ერთი ბოლო ფორ-პოსტი, როგორც თავის დროზე იოანე საბანისძე ამბობდა: ამა ქვეყნის ყურე. მეორე საკითხია, ის რომ საერთაშორისო კონიუნქტურა შეიცვალა. ამ თვალსაზრისით, საბაზრო და პოლიტიკური კონიუნქტურა ერთმანეთს ჰგავს. მაგალითად, რაზეც თუნდაც, 20 წლის წინ მოთხოვნა იყო, დღეს, ასე აღარ არის. ანუ, კონიუნქტურა შეიცვალა. მარადიული არაფერია — ერთი ტრენდი მიდის, მეორე — მოდის და ა.შ. დღეს, აღარ არის ტრენდი რადიკალიზმზე. ამ აზრით, „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან დაკავშირებული ტრენდი, წარსულს ჩაბარდა. აქედან გამომდინარე, ეს გახლავთ ბალასტი. დაახლოებით, ისეთი მდგომარეობაა გაუყიდავი საქონელი რომ დაგრჩება. ახლა, სრულიად ახალი კონიუნქტურაა. პოლიტიკაში, ისევე როგორც ეკონომიკაში, ბაზრის უხილავმა ხელმა ყველაფერი ისე დაალაგა, რომ რადიკალიზმზე მოთხოვნა აღარ არის. ვითარება ასეთია: ჩვენ, დასავლურ სივრცეში ვართ, ოღონდ, რადიკალიზმზე მოთხოვნა აღარ არის. დიახ, „ჩაწოლილი საქონელი“ ყვირის, მაგრამ ამას, უკვე, მნიშვნელობა აღარ აქვს. შეიძლება, გარკვეული პერიოდის მერე, რადიკალიზმზე მოთხოვნა ისევ გაჩნდეს. გამორიცხული არაფერია, არც მარადიულია რამე. უბრალოდ, „ნაცმოძრაობა“ რომელიც რადიკალიზმზე იყო ორენტირებული, ამ ტრენდს როგორც მარადიულს, ისე ასაღებდა. ადამიანს როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში ალღო უნდა ჰქონდეს. ვისაც ეს აქვს, იგი, მეტ-ნაკლებად, შეცვლილი ტრენდის სიტუაციაში, თავის მდგომარეობას ინარჩუნებს.

— ბოლო დროს, მუდმივად გვესმის: საქართველომ, დასავლეთის მიმართ, დამოკიდებულება უნდა შეცვალოსო. იქნებ, პირიქით, სჯობდეს ეს დასავლეთმა გააკეთოს?

— ეს გარკვეული პაკეტია, სადაც გთავაზობენ: რაღაც კონკრეტული თუ გინდა, მაშინ ისიც უნდა გააკეთო, რაც ჩვენ გვსურსო. გაჩნია, როგორი ტიპის პარტნიორი ხარ. მაგალითად, საუდის არაბეთს მსგავსს არაფერს მოსთხოვენ. აქ, მაინც, აშშ-სა და ევროპას შორის გარკვეული განსხვავებაა შემდეგი თვალსაზრისით: ჩვენ, ბევრი მიზეზის გამო, არ შეგვიძლია აშშ-ს 51-ე შტატი გავხდეთ. ამიტომ, იძულებულნი ვართ ვთქვათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება გვინდა. თუმცა, ჩვენ, ევროკავშირისკენ იმდენად არ ვისწრაფვით, რამდენადაც გვინდა რომ აშშ-ს შტატი გავხდეთ. საუდის არაბეთს არ უნდა ევროპა გახდეს, ხომ. იგი, აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორია. ანუ, განსხვავებები არსებობს. ჩვენ, რაღარაცნაირად, ამ სივრცეში მოვიაზრებით. თუ ჩვენი პოზიცია, საბოლოოდ, ევროპის გზაა, ეს უკანასკნელი არის ტოლერანტობა, რაც თანასწორობას ანუ, საზოგადო დისკურსში ყველა იდენტობის ჩართვას გულისხმობს. ამაში, გასაკვირი არაფერია. მე, ასე ვიტყოდი: ამ პროცესის დასაწყისში ქართული საზოგადოება კარგად გარკვეული არ იყო, რას წარმოადგენს თანამედროვე ევროპა და რას ნიშნავს ე.წ. თანამედროვე ღირებულებები. ყოველივე, ამის შედეგია. ესეც ნიშნავს იმას, რომ მარადიული არაფერია, რაღაც იცვლება. ეს, ბუნებრივია. არსებობს ტრენდიც და აქვე, გეო-პოლიტიკის საკითხიც. არსებობს რაღაც, რაც როგორც ღირებულებები ისე მოიაზრება. ბუნებრივია, ღირებულებებიც იცვლება. მაგალითად, ასი წლის წინ, სხვა ღირებულებები იყო. დიახ, ასი წლის წინ გენდერული იდენტობის საკითხი არ იდგა. მეტიც, 1921 წელს გენდერის გაგებაც არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, თვითგამორკვევაც არსებობს. ჩვენ, ასე ვპოზიციონირებთ: ევროპული კულტურა ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური დასავლეთის ისეთივე ელემენტი ვართ, როგორც ევროკავშირი. ჯერ, ევროკავშირის წევრი, არც ვართ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება ცუდი არც არის იმ აზრით, რომ დამოუკიდებლობის, სუვერენობის მეტი საშუალება გვაქვს. აბსოლუტური, სუვერენიტეტი არ არსებობს. ეს, ამერიკასაც კი არ აქვს. მაგალითად, პოლონეთი ევროპის განუყოფელი ნაწილი, ევროკავშირის წევრია, ამავე დროს, რუსეთთან დაპირისპირების ერთ-ერთი ფორ-პოსტია, მაგრამ ტრადიციული ღირებულებების გამტარებელია. პოლონური კათოლიციზმი ამ ხალხს უფლებას აძლევს ის ღირებულებები გაახმოვანოს, რაც ჩვენც გვინდა — ოჯახი, რელიგია და ა.შ. ეს შესაძლებელია. ევროპაც ხომ არ არის ერთგვაროვანი.

— ზაზა, ახლა, ახსენეთ: ევროკავშირის წევრი არ ვართ, რაც დამოუკიდებლობის მეტ შანს გვაძლევსო – ეს კარგია, თუ ცუდი?



— ეს, უფრო, საექსპერტო თემაა. თანამედროვე ქართულ პოლიტიკას ასე კარგად არ ვიცნობ, გარკვეული დისტანციაც მაქვს. როგორც რიგითი მოქალაქე, ამ კუთხიდან, ვიტყვი: მანევრების საშუალება ყოველთვის არსებობს. რა სტრუქტურაშიც არ უნდა იყო, თავისუფალი არჩევანი, მეტ-ნაკლებად, გაქვს. აქედან გამომდინარე, არის რაღაც, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული და პირიქით. კიდევ, არსებობს კომპრომისის, ბრძოლის საგანი. წეღან, პოლონეთის მაგალითი ტყუილად რომ მოვიყვანე. პოლონეთი, ერთი მხრივ, დასავლურ-რუსულ დაპირისპირებაში პოზიციონირებს როგორც ფორ-პოსტი, ყველაზე უფრო ანტირუსული კულტურის ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს, იგი, საერთოდ არ არის ღირებულებებზე მიბმული როგორც ასევე, ერთ-ერთი კათოლიკური, ტრადიციული ქვეყანა. აქედან გამომდინარე, ასეთი რამ შესაძლებელია. „ნაცმოძრაობა“ ხომ უპირისპირდებოდა რუსეთს. თან ცდილობდა ჩვენი ღირებულებებიც დაეცვა. ბრძოლის შემდეგ რატომ იქნევს ხელებს. ეს, უკვე, ბალასტია. ეს, ძველი ტრენდია. აქ, თავს ორი საკითხი იჩენს: ერთი — პოლიტიკური ტრენდების და მეორე — ღირებულებების. ტრენდი ბევრად უფრო კონიუნქტურულია. აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში, პოლონეთი საქართველოსთვის კარგი მაგალითია. ისტორიულადაც გვაქვს საერთო გამოცდილება. პოლონელები, უკვე, 200 წელია ქართული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ. ანუ, ურთიერთობების გარკვეული გამოცდილება გვაქვს. აქვე, არსებობს განსხვავებებიც — საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, პოლონეთი — კათოლიკური. მაგრამ აქ, დგება მომენტი, როცა ტრადიციული კათოლიციზმი და ტრადიციული მართლმადიდებლური ღირებულებები, პოლიტიკურ სიბრტყეზე, თითქმის, ერთნაირად გამოიყურება. მოდით, ავიღოთ მაგალითი პოლონეთისგან — შეგვიძლია ვიყოთ ევროპა, დავუპირისპირდეთ რუსეთს, მაგრამ ტრადიციული ღირებულებები გვქონდეს.

რაც ასი წლის წინ ითვლებოდა, რომ უფალი ღმერთის, ბუნების პრეროგატივაა, დღეს, ყველაფერი არჩევითია — სიცოცხლე, რასა, სქესი, გენდერობა და ა.შ. ე.წ. გენდერული იდენტობებიც, ამის ნაწილია. მართლა, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა. ვიმეორებ, თუ ქვეყანას კარგად აქვს გააზრებული რა არის მისი ღირებულებები, იდენტობა, მაშინ შესაძლებელია შენი პოლიტიკური სტრატეგიული ინტერესები არ დათმო და ამავე დროს, შეინარჩუნო ის, ძირითადი, იდენტობა, რაც ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

— ზაზა, ზემოთ ახსენე: ქართველმა თანამედროვე ევროპა კარგად ვერ გაიაზრაო. რა იგულისხმეთ?

— არსებობს ევროპული ღირებულებები, რომელიც დაკავშირებულია ევროპასთან როგორც პოლიტიკურ სუბიექტთან და დიდ დროში არსებული ევროპული კულტურა. ეს ერთიმეორეს არ ემთხვევა. სულ ვლაპარაკობთ,

რომ ერთი მხრივ, არის კლასიკური, ევროპული ტრადიციული ღირებულებები, მეორე მხრივ, ერთიანი სუბიექტის დონეზე, ამ ყველაფერს ინარჩუნებს ტოლერანტობა, სტაბილურობა, დემოკრატია და ა.შ. თვითონ ევროპაში ამ ღირებულებების, ქვეყნების დონეზე არსებობს გარკვეული დაპირისპირებებიც, მაგრამ არა ისეთი, რომ საქმე მის დაშლამდე მივიდეს. ამ თვალსაზრისით, ხომ არსებობს ძველი და ახალი ევროპა. ახალი ევროპა კლასიკური, ტრადიციული ღირებულებების მომხრეა, ძველ ევროპაში არის განსხვავებები. მისი ერთი ნაწილი ძალიან პროგრესულია, მეორე — უფრო ზომიერი. მაგალითად, განსხვავებებია იტალიასა და საფრანგეთს შორის, გერმანიასა და პორტუგალიას შორის. ასე, რომ ეს, ერთი მხრივ, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესია. ანუ, ევროკავშირში შესვლა როგორც გარკვეული ინსტრუმენტი და ამავე დროს, მეორე მხრივ, ევროპულობაზე კულტურული რეფლექსიაა. აქ, დიდ როლს თამაშობს ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება და ა.შ. ამ აზრით, ცუდია თუ კარგია, ბოლო 250 წლის მანძილზე გამოიკვეთა, რომ ქართული კულტურა ევროპულთან უფრო ახლოს არის. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კულტურა ევროპული კულტურაა. მეორე მხრივ, რუსეთსაც ევროპული კულტურა აქვს, მაგრამ დაპირისპირებულია როგორც ევროპასთან, ასევე, დასავლეთთან. დაპირისპირება სხვადასხვა ხასიათისაა — 15 წლის წინ უფრო მძაფრი იყო, დღეს, სიტუაცია შეიცვალა. ბაიდენისა და პუტინის შეხვედრა და მის მერე მიღებული გადაწყვეტილებებიც ამის ნაწილია, რაც კარგად არ არის გააზრებული. ერთ-ერთი მომენტი ესეც არის, რის გამოც კონიუნქტურა შეცვლილია. მაგრამ ასეა თუ ისე, შეიძლება, პირდაპირი გაგებით, ევროპული კულტურა გქონდეს და დასავლეთის ნაწილი არ იყო. ავიღოთ, დღევანდელი იაპონია, სადაც დასავლური კულტურა ძალიან სერიოზულ როლს ასრულებს. მამარდაშვილი 1990 წელს ამბობდა: დღეს, ევროპა შეიძლება იყოს ნიუ-იორკში, ტოკიოში და არ იყოს მოსკოვშიო. მას დასავლეთი ესმოდა როგორც კულტურული ღირებულება, მერე, როგორც პოლიტიკა, კულტურის და გარკვეული მეტაფიზიკის გაგრძელება. ეს ისეთი თემებია, რაზეც რეფლექსია, მუდმივად, ხდება და უნდა ხდებოდეს. აქვე, გარკვეული დაპირისპირება ხდება მიმდინარე პოლიტიკურ ტრენდსა და კულტურულ ღირებულებებს შორის. ამ აზრით, ფართო გაგებით, საქართველო ევროპული კულტურაა, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ, უკვე, 30 წელია როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, დასავლური ტიპის მოთამაშედ ვპოზიციონირებთ. დასავლური ტიპის მოთამაშედ ყოფნა გარკვეულ პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებსაც გულისხმობს. ჩვენ ხომ მხოლოდ დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორი არ ვართ, როგორც საუდის არაბეთი. ჩვენ, ამავე დროს, ვცდილობთ საკუთარი თავი ისე წარმოვადგინოთ, როგორც დასავლეთი. აქედან გამომდინარე, მეტი მოგვეკითხება ან, სხვანაირად მოგვეკითხება.

— ზაზა, სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, მითხარი, გავრილოვის ღამეში ვცხოვრობთო. რუსული ღამის მონაწილენი თავად ქმნიან სიტუაციას, რაც რუსებს აწყობთ და ამით აშანტაჟებენ დასავლეთსაც და საქართველოსაც?

— კი, კი. გავრილოვის ღამე, გარკვეული, ხელოვნური კონსტრუქტია. საქმე იმაშია, რომ საქართველო, რაღაცით, მართლაც ჰგავს პოლონეთს. ამიტომაც არსებობს სიმპათიები, ურთიერთობები. ეს შემთხვევითი როდია. პოლონეთში პოლიტიკური ოპონენტის მიმართ აბსურდული არგუმენტის გამოყენება, იგივეა, რაც დასაბამის ცოდვაზე მითითება. ამავე დროს, იმდენად ყოვლისმომცველია, ყველას მიმართ შეიძლება გამოიყენო და იმდენად ბოლო არგუმენტია, რომ გარკვეული აზრით, ხშირად, ფასიც ეკარგება. იმიტომ, რომ ამბობ: პრო-რუსს და ამით ეუბნები: ცუდი ადამიანი ხარო. ამდენად, გავრილოვის ღამე არის, მართლაც, ხელოვნური კონსტრუქტი ანუ, როცა ესკატოლოგიურ, აპოკალიპტურ სიტუაციას ქმნი მაშინ, როდესაც ამის, რეალური, საბაბი არ არსებობს. რეალობა, განსხვავებულია. ყოველ-წუთს 2008 წელი ვერ დადგება. აგვისტოს ომიდან, „მოდელირებული ქრონიკიდან“ მოყოლებული, ეს, კოლექტიური რეჟისორი ცდილობს ყველაფერი თავიდან დადგას. გავრილოვის ღამეც ამის გაგრძელებაა. მაგრამ თან, ეს ყველაფერი, არ მუშაობს იმიტომ, რომ ადამიანი ერთხელ კვდება. ისტორია შეუქცევადია. სინამდვილეში, რაღაც ტრენდები, სტრუქტურები მეორდება, მაგრამ ამავე დროს, თითოეული მოვლენა შეუქცევადია, რისი გააზრებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ის, რომ „ნაცმოძრაობას“ ამის გააზრება არ შეუძლია, აბსოლუტურად, ცხადია. ამიტომაც გახდა იგი კონიუნქტურის ბალასტი, რომელიც დევს როგორც ჩაწოლილი საქონელი. გავრილოვის ღამე არ გახლავთ ე.წ. ბნელი საუკუნეები. თუ სექტანტი არ ხარ, მუდმივი, აპოკალიფსის მდგომარეობაში ვერ იცხოვრებ. ეს, შეიძლება, რაღაც მომენტი იყოს, მაგალითად, ევროპაში მრავალი წლის წინ, რამდენიმე დღის განმავლობაში მეორედ მოსვლის მოლოდინი იყო. თუმცა, ქრისტიანმა ადამიანმა იცოდა, რომ მეორედ მოსვლის დღე მხოლოდ უფალმა უწყის. მუდმივად აპოკალიფსში სექტაც კი ვერ ცხოვრობს. ეს კრიზისი ასე წყდება: სექტანტები თავს იწვავენ ან თავს იკლავენ ან ეს, უნდა გადაიდოს. მუდმივად გაიძახიან: 2008 წლის აგვისტო, აუცილებლად, გამეორდებაო. როდესაც ჩვენ, ვამბობთ: „ნაცმოძრაობა“ არის სექტანტური ორგანიზაცია, ამ აზრით, ეს, მართალია. მაგალითად, რაც აპოკალიფსური სექტისთვის არის მეორედ მოსვლა, ნაცებისთვის ეს არის შემდეგი — რუსები კიდევ ერთხელ შემოვლენ და დაგვიპყრობენო. აი, ასე ცხოვრობენ. მაგრამ ამავე დროს, ისეთი სენსიტიური ერისთვის როგორიც ქართველია, რუსული არგუმენტი ძალიან სერიოზულია ისევე, როგორც პოლონელებისთვის. შევეცადე, მკითხველისთვის, სექტის მუშაობის სქემა დამენახებინა.

— პატრიოტიზმის სიმულაციას, თავს როდის დავაღწევთ?

— პატრიოტიზმის სიმულაცია, ამის მეორე ნაწილია. იმიტომ, რომ რაღაც პოზიტიურიც ხომ უნდა არსებობდეს, არა. როცა ნაცები ხელისუფლებაში იყვნენ, სიმულაცია არ სჭირდებოდათ. პატრიოტიზმის სიმულაცია 2008 წლის აგვისტოს მერე დაიწყო. დიახ, სწორედ მაშინ, როცა ნაცების დელეგიტიმაცია მოხდა. ხალხს რატომ არ სჯერა? ყოველივე ფარისევლობად და სიყალბედ რატომ მიაჩნია? სწორედ იმიტომ, რომ პატრიოტიზმს თემატური პოზიტიურობა ახასიათებს. ამ სიმულირებული პატრიოტიზმის უკან იმ პერიოდის ტრენდი დგას, როცა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ძალიან გამწვავებული იყო. პოლიტიკაში შეიძლება რაღაც გამწვავადეს, განიმუხტოს. ეს ურთიერთობები, ყოველთვის, ერთ დონეზე ვერ იქნება. ძალიან გამწვავებულ ფაზაში ტრენდი შეიქმნა. ამ პოლიტ-ეკონომიურ კონიუნქტურაში „ნაცმოძრაობამ“ თავისი სიტყვა თქვა, მოთხოვნა დააკმაყოფილა. როცა ტრენდმა მეორე მხარეს გადაინაცვლა და ისეთი მძაფრი გამწვავება აღარ არის, „ნაცმოძრაობა“ აღმოჩნდა როგორც ჩაწოლილი საქონელი. ტრენდი იცვლება. ამიტომაც, ნაცები ძველ კონიუნქტურაში, წარსულში არიან ჩარჩენილნი. შავი მერსედესი აღარ იყიდება, ახლა, წითელია გაყიდვადი. „ნაციონალები“, ისევ, შავ მერსედეს გაჰყვირიან. შეიცვალა კონიუნქტურა. აქედან გამომდინარე, მათი კონიუნქტურა პოზიტიურ ნიშნებს არ შეიცავს, არამედ ნეგატივზეა აწყობილი. ამ შემთხვევაში, პატრიოტიზმი არის როგორც რუსოფობია. პოლონური პატრიოტიზმიც არის შეპყრობილი რუსოფობიით, მაგრამ იქ მთავარი მომენტი პოზიტიური გმირების არსებობაა. თავის დროზე, „ნაცმოძრაობას“ უნდოდა რუსოფობია თორნიკე ერისთავის გარეშე. ეს როგორ უნდა გააკეთო? ამიტომ არის მათი პატრიოტიზმი სიმულირებული და არ სჯერა ხალხს, ხედავს სიყალბეს ანუ, ეს არ მუშაობს. ერთადერთი რაც მეტნაკლებად, მუშაობს, რუსული არგუმენტია, მაგრამ შეუძლებელია ადამიანი, მუდმივად, რუსეთის ესკატოლოგიურ შიშში აცხოვრო. არამარტო რუსეთის, საზოგადოდ, შიშში აცხოვრო. ჩვენ, ქრისტიანებმა ვიცით, რომ მეორედ მოსვლა იქნება, მაგრამ ამის გამო, ყოველდღიურად, შიშსა და ძრწოლაში არ ვცხოვრობთ.

— ნაცები, თვითმმართველობის არჩევნებს რეფერენდუმად ნათლავენ. სინამდვილეში, რეფერენდუმი „ჩაწოლილი საქონელის“ პოლიტიკიდან გასვლის თაობაზე ხომ არ უნდა ჩავატაროთ?

— კი, რა თქმა უნდა. ამიტომაც სურთ არჩევნების გადადება. თან რეფერენდუმია, თან არჩევნები უნდა გადავდოთო. როგორც ფროიდი ამბობდა: ეს ტიპიური არაცნობიერის ლოგიკაა, რომელიც ქვაბის ლოგიკას ჰგავს. მეზობელი მეზობელს ედავება: ქვაბი არ მოგიცია, მაგრამ პატარა იყოო. ასეა ახლაც — თან რეფერენდუმია და თან არჩევნები უნდა გადაიდოს. რაც შენ გამოიყენე, ეს ძალიან კარგი ფორმულირებაა — რეალურად, ეს არჩევნები იქნება ჩაწოლილი საქონელის ბაზრიდან გატანა, რომელიც დიდ ადგილს იკავებს. ამიტომაც ვერ ხდება ქართულ პოლიტიკურ ველზე მანევრირება — რაღაც ახალი გინდა რომ შემოიტანო, მაგრამ ძველი დევს და არ გაგაქვს. ძველი არანაირ პოზიტიურ როლს არ თამაშობს, უნდა გადაყარო, მაგრამ ამას დრო ხომ უნდა. ჩვენ, ახლა, ამ სიტუაციაში ვართ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ქართული ოცნება“ სამეგრელოში დამაჯერებლად გაიმარჯვებს

გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი ლაშა გვასალია:

— მოგესალმებით, ბატონო ლაშა. რა მდგომარეობაა რეგიონში, ზოგადად, პოლიტიკური სოციალური, პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემები, ალბათ, ართულებს ვითარებას.

— მივესალმები „საერთო გაზეთს“, თქვენს მკითხველებს და უნდა გითხრათ, არ არის სახარბიელო მდგომარეობა, განსაკუთრებით, პანდემიის თვალსაზრისით.

ჩვენ არ ვართ ძლიერი ეკონომიკის ქვეყანა და რა ვითარებაშიც

ჩააგდო პანდემიამ მძლავრი ქვეყნების ეკონომიკა, ყველამ დავინახეთ...

სხვა გზა არ არის, უნდა ვისწავლოთ პანდემიასთან ერთად ცხოვრება და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ქვეყანა არ დავღუპოთ.

— ოთხ კვირაში არჩევნები იქნება, როგორია წინასაარჩევნო განწყობა რეგიონში?!

— ადამიანის ფსიქოლოგია არის ასეთი — მისი ბუნება ყოველთვის ახლისკენ არის მიმართული, თუმცა საზოგადოების დიდ ნაწილს გააზრებული არ აქვს, რა იქნება და როგორი იქნება ის ახალი, თუმცა ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება ახალი უკეთესი იყოს, ადამიანს, ზოგადად, მოსვენებას არ აძლევს.

ჩვენს შემთხვევაში, ეს ახალი ვერანაირად ვერ იქნება უკეთესი იმიტომ, რომ „ახალი“, რომელსაც უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, მოსვლა კი არა, დაბრუნება, ყველამ ვიცით, რომ ახალი არ არის, ხოლო ეს მოსვლა მხოლოდ უბედურებებთან არის ასოცირებული. ცხადია, „ნაცმოძრაობას“ ვგულისხმობ, თუმცა არის მეორე „ახალიც“, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ არის გამოყოფილი, მაგრამ არსებობს ერთი ჭეშმარიტება — არ შეიძლება განშტოება ფუძეზე ძლიერი იყოს, არ შეიძლება ტოტი უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე მუხის ტანი.

ამის გათვითცნობიერებას სჭირდება მეტი განმარტება, საუბრები და ჩვენც დავდივართ მოსახლეობასთან, ვუხსნით ყველაფერს.

თუმცა ბევრი რამ მაინც მოქალაქეებზეა დამოკიდებული — მათ უნდა გაარჩიონ, განაზოგადონ. გაიხსენონ, ვინ მოიტანა გრძელვადიანი მშვიდობა, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე ქვეყნის შიგნით.

რა თქმა უნდა, აღმშენებლობითი პროცესები უნდა გაგრძელდეს.

პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როცა 8 წლის განმავლობაში ჩავატარეთ 7 არჩევნები, მაგრამ მომდევნო სამ წელს გვექნება დიდი შესვენება, ოღონდ შესვენება არჩევნების კუთხით, თორემ, როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, იწყება დიდი აღმშენებლობის პერიოდი, სოციალური პროგრამების განხორციელების, განათლების სისტემის გაძლიერების და სხვა თვალსაზრისით.

— თქვენ კი ბრძანეთ, რომ უამრავი სოციალური და ეკონომიკური პროექტი განხორციელდა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, თუმცა ოპონენტებს თუ მოვუსმენთ, გეგონება, ქვეყანა დაიქცაო.

დამისახელეთ კონკრეტული პროექტები, რომლებიც უახლოეს დროში განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

— სამეგრელოში თითქმის ყველა სოფლის ცენტრამდე და თემამდე მისასვლელი გზა მოასფალტებულია ან ბეტონის საფარით არის მოპირკეთებული. აქ, ცხადია, ცენტრალურ გზატკეცილებს არ ვგულისხმობ, ეს გზატკეცილები თანამედროვე სტანდარტების დონეზე არის გაკეთებული, მე ვსაუბრობ სოფლის გზებზე. თითქმის ყველა სოფელში არის კეთილმოწყობილი ამბულატორიები, საბავშვო ბაღები, გარემონტდა და აიგო ახალი სკოლები, კეთილმოეწყო სასწავლო დაწესებულებებში, თვითონ შენობებში, სველი წერტილები.

„ქართუ ჯგუფის“ დაფინანსებით შენდება მემორიალური სახლ-მუზეუმი სოფელ ძველ ხიბულაში, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი აღესრულა, გამშვენიერდა სახლ-მუზეუმის გარშემო მთელი მიდამო. თქვენ უნდა ნახოთ, სასწაულია იქაურობა, ბეტონის გზა არის მიყვანილი მთელ სოფელში.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გაჭირვებულ ადამიანებს თუ ეხმარებით და რა ინიციატივები გაქვთ ამ თვალსაზრისით?

— სოციალური დახმარების კუთხით რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმუშავა, ასეთი სამუშაოები რამდენიმე ათეული წელია, არ განხორციელებულა საქართველოში. მარტო C ჰეპატიტის პროგრამა იქნება საკმარისი, რომელიც საამაყოდ ეყოფოდა ნებისმიერ მდიდარ ქვეყანას.

ვახორციელებთ თანადაფინანსებებს სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციების დროს, ასევე, გვაქვს სუბსიდირებები ონკოდაავადებულთათვის. ასეთი ინიციატივები არ ჰქონია არც ერთ ხელისუფლებას „ქართულ ოცნებამდე“.

ზუგდიდში შენდება თანამედროვე ტიპის უმაღლესი დონის თეატრი, რომელიც შალვა დადიანის სახელობისაა. ეს იქნება უნიკალური, მართლაც საოცარი რამე. ჯერ დამთავრებული არაა და რომ ნახავთ, გაოგნდებით.

შენდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში იფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ახალგაზრდული გაერთიანებები და ა. შ.

არაფერს ვამბობ დადიანისეულ სასახლეზე, ნიკოსეულ სასახლეზე, რომლებიც რეაბილიტირებული იქნა. დიდძალი თანხები დაიხარჯა ამაზე.

იმდენი პროექტები განხორციელდა და იმდენი კარგი საქმე გაკეთდა, რომ ჩამოთვლას დასჭირდება ძალიან დიდი დრო.

რაც მიმდინარე პროექტებია, იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რაც არის დაგეგმილი, ეს ცალკე საკითხებია.

ხალხი ხედავს ყოველივე ამას, მაგრამ, მთავარია, მათ იცოდნენ: ჩვენს ქვეყანას სჭირდება შრომისმოყვარე გუნდი, რომელიც გააგრძელებს ამ პროექტების განხორციელებას, არ გაჩერდება და ხალხის კეთილდღეობისთვის იზრუნებს კვლავ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ, რადგან ვიცით, როგორია ხალხის განწყობა.

— თქვენ ბრძანებთ, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი „ქართული ოცნების“ კანდიდატებს აუცილებლად აირჩევს?

— „ქართული ოცნება“ არის ზურგი, ძალა თავისი ამომრჩევლებისთვის.

ბევრი მოთხოვნები აქვს ხალხს, მაგრამ უცებ ყველა საკითხს ვერ მოვაგვარებთ. თანმიმდევრულად, ნელ-ნელა ყველაფერი კეთდება და კიდევ გაკეთდება.

უფრო სწრაფად, მეგობრებო, ვერ გაკეთდება ჩვენნაირი ეკონომიკის პირობებში.

პრემიერმაც ბრძანა და ჩვენც ასე ვაპირებთ — 2 ოქტომბერს ვასრულებთ არჩევნებს და 3 ოქტომბრიდან ვიწყებთ კი არა, ვაახლებთ აღმშენებლობით პროექტებს, ინფრასტრუქტურაზე, ქალაქზე, რაიონებზე, რეგიონზე, ხალხზე ზრუნვას.

ოპოზიციას კი ერთი მიზანი აქვს — ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მინდა მათ ერთი რამე ვკითხო და გვიპასუხონ — ვინ შექმნა ასეთი მშვიდი საარჩევნო გარემო, რომელსაც უცხოელებიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ?

ხომ გვახსოვს, წინასაარჩევნოდ რა უბედურებებიც ტრიალებდა ქვეყანაში, რა თავდასხმები და ხელჩართული ომი იყო.

— როგორც მახსოვს, თქვენ არაერთხელ ყოფილხართ ნაციონალებთან ფიზიკურ დაპირისპირებაშიც კი.

— ჩხუბებს აღარ მოვთვლი, 2012-ში სამჯერ დამაკავეს. ჩემთან ერთად დააპატიმრეს ჩემი მეგობრებიც. ჯერ გვაწამეს, მერე სადღაც ტყეში დაგვსვეს, მეორედ — მთაში და ის ხალხი, რომლებიც დღეს ვითომ მაღალ სტანდარტებზე ლაპარაკობენ არჩევნებთან დაკავშირებით, გონს მოეგონ. ჩვენ არ გვჭირდება სწავლება, საკუთარ წარსულს გადახედონ და მოინანიონ, რაც ჩაიდინეს.

— ნაციონალები და მათი მომხრეები ლაპარაკობენ: არავითარი სამეგრელოს ტყის ბუნკერები, არავითარი ციხის წამებები არ ხდებოდა, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის მოგონილიაო. წავიდა კაცი პოლიტიკიდან და მაინც ვერ მოინელეს მისი არსებობა.

— საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ბუნკერებიდან, კასრებიდან ამოღებული მასალები. ასევე სიები, სადაც იყო ჩამოთვლილი ასაწიოკებელი, დასარბევი ადამიანები და მათი ოჯახები.

ოდიშში რომ იყო საწამებელი ბუნკერი, ეს მოგონილია?

ისეთი საქმეები აქვთ გაკეთებული, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

21-ე საუკუნეში ადამიანს ისეთი რამ თავში როგორ უნდა მოუვიდეს, რასაც იქ აკეთებდნენ.

თუ არ ახსოვთ, გავახსენებ: 2012 წლის არჩევნების წინა დღეებში როგორ შემოარტყეს ჩემს სახლს ალყა და რაც ჩაიდინეს — ოჯახი დამიწიოკეს, ჭინკებივით ძვრებოდნენ ღობეებიდან.

ეს იყო წმინდად დიქტატორული რეჟიმი, რომლის გამეორება საქართველოს სხვას არაფერს მოუტანს სახელმწიფოებრიობაზე ოცნების დაკარგვის გარდა.

— ამის ჩამდენმა ხალხმა არაერთხელ სცადეს სამეგრელოში პოლიტიკური თანამდებობების დაკავება... ჯერ სააკაშვილის ცოლმა, მერე ბევრმა სხვამ, ახლა ენმ-ის ახლანდელი ლიდერის ნიკა მელიას მამა იქაჩება ზუგდიდის მერობისთვის.

— რაც სანდრამ მიიღო, იმას მიიღებს ანზორ მელიაც. მაგრამ მან ხომ მშვენივრად იცის, რომ ზუგდიდში არჩევნებს ვერ მოიგებს? მაგრამ, დავუშვათ, მოხდა სასწაული და მოიგო, რა მერი უნდა იყოს ანზორ მელია. ის არის თბილისელი კაცი, რომელიც ზუგდიდში წელიწადში ერთხელ ან, მაქსიმუმ, ორჯერ თუ ჩამოვიდოდა. ზუგდიდი მისთვის იყო ბავშვობის მოგონების ქალაქი. ზუგდიდს კი სჭირდება ზუგდიელი კაცი, ადამიანი, რომელიც ქალაქს იცნობს საფუძვლიანად. ანზორ მელია ზუგდიდის მერი რომ გახდება, ეს არის აბსურდი და ბუტაფორია.

მაგრამ, სავარაუდოდ, მათი მიზანი არცაა არჩევნებში მოგება. მათ, სინამდვილეში, არ აინტერესებთ 2 ოქტომბერი, მათ სჭირდებათ 3 ოქტომბერი, რომ დაიწყონ აყალმაყალი და არეულობა.

— ანუ იციან, რომ წააგებენ?

— რა თქმა უნდა, და ეს ეტყობათ კიდევაც.

გამოკითხვებსაც ხომ აწარმოებენ და ხვდებიან, რეალურად, როგორ აქვთ საქმე.

— ერთ ტელევიზიაში ამასწინათ გამაოგნებელი ინტერაქტივი დადეს.

— ტვ-I-ის ინტერაქტივში ისეთი მონაცემები იყო, ალბათ, თავად ტვ-I-საც ეცინებოდა — მათ უკვე აირჩიეს მელია მერად და უკვე აქვთ ახალი სტუდია, ტვ-I არის მთავარი ტელე-არხი საქართველოში, ინგა კვლავ ქართული ჟურნალისტიკის დედაა და გვლოცავს სავსე ღაბაბით და ღარიანი ძუძუებით.

იმდენი მაგათ არ აუდგათ გვერდები, რამდენიც ასე არ იქნება და მაგას ვერ ეღირსებიან.

2 ოქტომბერს ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ იტყვის თავის სათქმელს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ უნდა ამოიშალოს მოქმედი პოლიტიკური სივრციდან.

— თქვენ ალბათ უსმინეთ ამასწინათ ყოფილ პრემიერს გიორგი გახარიას. მან თქვა, საკმაო ელექტორატი მყავს და 2 ოქტომბრის შემდეგ რა შედეგებიც არ უნდა დაიდოს, „ქართული ოცნება“ მაინც დაიშლებაო. რას იტყვით ამაზე?

— გიორგი გახარია ჯერ ბიზნესომბუდსმენი იყო, მერე მრჩეველი, მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, თანამდებობებთან ერთად ხომ არ დაბადებულა? ეს ხომ იყო „ქართული ოცნების“ გუნდის დამსახურება და გადაწყვეტილება?

მას არ უნდა გაეხლიჩა გუნდი.

ამიტომ მიმაჩნია, რომ გახარიამ იჩქარა და არასწორი ნაბიჯი გადადგა.

— წასვლით თუ ხელახალი მოსვლით?

— მელიას დაპატიმრების გამო არ უნდა წასულიყო თანამდებობიდან და გუნდი არ უნდა მიეტოვებინა.

მელიას ერთი კაცი კი არ აპატიმრებდა, არამედ ინსტიტუტი და კანონი. კანონს უჩვენა ზურგი გახარიამ.

— როგორ დაახასიათებთ „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მერობის კანდიდატს მამუკა წოწერიას?

— ნამდვილად დადებითი, გამოცდილი, უმწიკვლო ადამიანი და მუხლჩაუხრელი მშრომელია. ბუნებრივია, ასეთი ადამიანი სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას და, კერძოდ, ზუგდიდს. მამუკა წოწერია, მერად არჩევის შემთხვევაში, ნამდვილად დადებითად დაამახსოვრებს თავს ზუგდიდს.

— ბატონო ლაშა, ინტერვიუს განმავლობაში მე თქვენ გისვამდით შეკითხვებს, როგორც თანამდებობის პირს, მაგრამ ახლა, როგორც მწერალს, ისე მინდა გკითხოთ, როგორ გესახებათ ჩვენი ქვეყნის განვითარების მომავალი?

— ბოლო ხანების ისტორიაში მოხდა სახელისუფლებო ჯაჭვის წყვეტა — როცა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს.

დღემდე რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, არის იმ უბედურებების გამოძახილი.

ვერ შედგა ეროვნული თანხმობა. თავის დროზე პატრიარქიც იყო მოწადინებული ამაზე, მაგრამ ყველას გვახსოვს, სააკაშვილმა ჩაშალა ეს მოლაპარაკება. მან ხელი არ მოაწერა ეროვნული თანხმობის დოკუმენტს.

— ვერ ვიხსენებ, როდის მოხდა ეს ფაქტი?

— 2005 წელს შედგა ეროვნული თანხმობის კომისია, ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების ინიციატივით. გურამ აბსანძემ მოაწერა ხელი ეროვნული ხელისუფლების მხრიდან. ხელი მოაწერა, ასევე, ჩვენმა პატრიარქმა ილია II-მ, მაგრამ შეკრებაზე, რომელიც ქაშუეთში შედგა, არ გამოცხადდა მიხეილ სააკაშვილი.

— რას გულისხმობდა ეროვნული თანხმობის დოკუმენტი?

— ეროვნული თანხმობა ეს იყო პოლიტიკური და სოციალური შურისძიების იდეის დაძლევის დოკუმენტი, ანუ გარკვეულ დონეზე უნდა აგვერჩია, როგორი სახელმწიფო გვინდოდა და შევთანხმებულიყავით კონკრეტულ საკითხებში.

დაპირისპირებები, ლანძღვა-გინება უნდა დასრულებულიყო.

დოკუმენტში იყო მუხლები, რომლებიც პოლიტიკურ სტაბილიზაციას შექმნიდა ქვეყანაში.

ეს მოხდებოდა ხატის წინაშე, ეკლესიის და პატრიარქის ავტორიტეტის დახმარებით.

შეთანხმება ჩაშალეს მაშინ სააკაშვილმა, ბოკერიამ და სხვა ნაძირლებმა.

იმ პერიოდში დაუპირისპირდნენ გურამ აბსანძესაც. აითვალწუნეს პატრიარქი და შეთანხმება ნელ-ნელა ეროვნულ უთანხმოებაში გადაზარდეს.

„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო პირველი ნაბიჯები გადადგმულიყო ეროვნული შუღლის მოსასპობად და უარი თქვა ყოველგვარ რევანშსა და შურისძიებაზე.

თუმცა ისევ ვხედავთ კონფრონტაციას და ეს კვლავ „ნაცმოძრაობიდან“ მოდის.

ესენი საშველს არ აძლევენ ქვეყანას. ყველა დონეზე უტევენ სახელმწიფოს. მუდმივად კონფრონტაციის რეჟიმში გვამყოფებენ. ვერ ამოისუნთქა ქვეყანამ, რომ თანხმობისკენ ნაბიჯები გადაედგა. სხვათა შორის, იმ შეთანხმების საკითხში 2005-ში აფხაზებიც იყვნენ ჩართული.

სააკაშვილი და მისი მეგობრები დღემდე ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოში არ მოხდეს ეროვნული თანხმობა. ეს აძლევთ საშუალებას, მუდმივად იტივტივონ პოლიტიკური სივრცის ზედაპირზე, რადგან წყნარ სიტუაციაში მათი ადგილი აღარ იქნება.

როგორც მაშინ ჩაშალეს მოლაპარაკება, ახლაც იგივეს ცდილობენ. როგორც კი დაიწყებოდა საუბარი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაზე, მაშინვე იწყებდნენ აქციებს, ლანძღვა-გინებას, საელჩოებთან მივარდნას და ა. შ.

გასაქანი არ მისცეს ამ ქვეყანას ამ რუსეთის იმპერიიდან მართულმა სამარცხვინო მარიონეტებმა.

სულ ვამბობ და კიდევ გავიმეორებ — რუსეთიდან არიან ესენი მართული.

— ძალზე საინტერესო ფაქტის მომსწრე ვართ — ოპოზიცია ხელისუფლებას აბრალებს რუსეთის აგენტობას, ხელისუფლება — ოპოზიციას.

— მათი ბრალდებები ისეთივე სიმართლეა, როგორიც იყო ინტერაქტივის გამოკითხვა ტვ-I-ზე.

ესენი რას ლაპარაკობენ, რა მნიშვნელობა აქვს? — ბიძინა ივანიშვილიც და ირაკლი ღარიბაშვილიც არიან ნაღდი ქართველები და ეს არაერთხელ დაამტკიცეს.

რაც ბიძინა ივანიშვილს აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, იმხელა ქველმოქმედებები საქართველოს ისტორიაში აქამდე არავის ახსოვს. ჩვენი ისტორია არ იცნობს უფრო დიდ მეცენატს, ადამიანს, რომელსაც ამდენი ფული ექნება დახარჯული ქვეყანაში, ამდენი მიმართულებით.

დემაგოგიას აზრი არ აქვს. ყველას გვაქვს თვალები და ყურთასმენა და ყველა კარგად ვხედავთ, ვინ რისი მოქმედი და გამკეთებელია.

ჩვენს ქვეყანას ჰყავს საუკეთესო პრემიერ-მინისტრიც.

ბოლო დღეებში სესხის აღებასთან დაკავშირებით რაც განაცხადა, ეს იყო ნამდვილად ლიდერის განაცხადი.

ზვიად გამსახურდიას შემდგომ პირველად დავინახე ასეთი დამოუკიდებელი და თავისუფალი ლიდერი და ესაა მნიშვნელოვანი.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს სახელმწიფო უთუოდ შედგება და თავის სიტყვას იტყვის როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე ყველა მიმართულებით, მანამდე კი წინ საპასუხისმგებლო არჩევნები გვიდგას, სადაც გამარჯვება ქვეყნის გადარჩენის ტოლფასია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გოიმების პარადი

ევროკავშირმა კი არ გამოგვიყო ფულის ნაცვლად ენა, ეს ჩვენ ამოგვივიდა ყელში ვალები!

წინა კვირას მეხივით გავარდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები, რამაც, რასაკვირველია, უკიდურესად აღაშფოთა სრულიად „სანაცეთი“:

„ევროპარლამენტარი არ არის ჩემი უფროსი, ჩემი უფროსია ქართველი ხალხი“!

არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ირაკლი მაგარი კაცია. მან ეს ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის განცხადების საპასუხოდ თქვა.

და რა თქვა ასეთი კრამონნა ძალომ, რა მინდაო? როგორც კი გაიგო, საქართველოს მთავრობამ სესხზე უარი თქვა, „პლასტინკა“ თავისებურად დაატრიალა, მაგათ ევროკავშირის მიკროფინანსური დახმარების მეორე ტრანშის მიღების პირობები არ შეასრულეს და ამიტომ, ვერ იტყოდნენ უარს იმაზე, რისი მიღების უფლებაც არ ჰქონდათო.

მოდით, საკითხი გავამარტივოთ: ამ წლის დასაწყისში ევროკავშირმა გამოგვიყო 1%-იანი წლიური სესხი, 150 მილიონი ევრო. მაშინ ნახევარი (75 მილიონი) მივიღეთ და თავიც დავუკარით მადლობის ნიშნად. დარჩა მისაღები კიდევ 75 მილიონი ევრო, ანუ მეორე ტრანში. ქალბატონმა კრამონმა დააკონკრეტა, საქართველოს მთავრობამ პირობები არ შეასრულა – სასამართლო სისტემის რეფორმა და ასე შემდეგო. არავითარი „ასე შემდეგ“, აქ დღის წესრიგში იდგა სასამართლოს ისეთი რეფორმა, გარედან ჩარევით რომ იციან ხოლმე. ფაქტობრივად, ამას რეფორმა კი არა, მიტაცება და მოსყიდული არასამთავრობოებისთვის გადაცემა ჰქვია. 75 მილიონ ევროს თან მოსდევს ვალდებულებები, ერთ მოსამართლესაც ვერ დანიშნავ უკითხავად და შეუთანხმებლად. უბედურება ის არის, რომ ევროპიელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ტონს, სტილსა და ლექსიკას არ ცვლიან – პირდაპირ გვეუბნებიან, თქვენი მთავრობა მიჰქარავს, მაგრამ ჩვენ მაინც ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართო. გეგონება, ეს მთავრობა ქართველი ხალხის არჩეული არ იყოს,,. გეგონება, საგარეო ვალები ქართველი ხალხის გადასახდელი არ არის,,. რაში გვჭირდება 75 მილიონი ევრო, იმაში, რომ საქართველოში მოსამართლე უნდა დანიშნონ არასამთავრობოებში მოკალათებულმა ყალთაბანდებმა?

სიმართლეს ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი, ჩემი უფროსი არ არის ევროპარლამენტარი, ჩემი უფროსი არის ქართველი ხალხიო. ცდება ვინმე ვიოლა კრამონი, როცა ამბობს, ჩვენ პატივს ვცემთ ქართველ ხალხსო. თუ ისინი პატივს სცემენ ქართველ ხალხს, ნება იბოძონ და ასევე პატივი სცენ მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, სესხის მეორე ტრანში სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე იყო დამოკიდებული და ამ კუთხით საქართველოს სასამართლო სისტემა ბევრად წინ უსწრებს ევროკავშირის მოქმედი წევრების სასამართლო სისტემას.

ჩვენი დარდაკი ოპოზიცია „აღშფოთდა“ – მაგალითად, თუ გუშინ ჭიჭე (თაკოსგან პრემიერად შერაცხული და ბოლოს უარყოფილი) ვაშაძე ტელევიზორში იტყლარჭებოდა, საქართველოს საგარეო ვალი კატასტროფულად გაიზარდა, ჩვენს შვილებს მონობაში აღმოხდებათ სულიო, ახლა ქვა ქვაზე დაადუღა, რას ჰქვია, სესხზე უარს ამბობთო? ეს ხომ პირდაპირ პუტინის მსახურებას ნიშნავსო?

პარტია „ხალხისთვის“ (ლიდერიო“. ჰა, ჰა, ჰა!) ლიდერის ანა დოლიძის თქმით, ევროკავშირის დახმარებასთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები საგანგაშო ხასიათს იღებს. მას იმედი აქვს, ევროკავშირი პერსონალურ სანქციებს განახორციელებს. რატომ უნდა განახორციელოს ევროკავშირმა პერსონალური სანქციები, რა ბრალდება უნდა წაუყენონ ღარიბაშვილს, სესხს რატომ არ იღებთო? იქნებ იმაში დაადანაშაულონ, შენი უფროსი ქართველი ხალხი კი არა, ჩვენ ვართ, ბიჭო, არაფერი შეგეშალოსო?! არა, დააკვირდით, ფაქტობრივად ასე იქცევიან, ამაზე მიგვანიშნებენ.

ანა დოლიძის თქმით, ეს არის სერიოზული ნიშანი, რომ ხელისუფლება აპირებს, გადაუხვიოს ევროპულ ორიენტაციიდან. ესენი, ანა დოლიძე და მისნაირები გუშინ ამტკიცებდნენ, საქართველომ უკვე გადაუხვია ევროპული ორიენტაციიდანო, ეს პრორუსული ხელისუფლებააო, ახლა იძახის, გადახვევას აპირებსო. უბრალოდ მაინტერესებს, ასე რატომ აქვს ამ ხალხს ტვინი დაშტამპული, რომ რეალობის შეგრძნებას საერთოდ კარგავენ და ამათი გამოსვლები ბოდვაში გადადის?

არ დაიჯერებთ, თურმე ვახო სანაიაც შეშფოთდა, როდესაც პრემიერმა თქვა, ევროპარლამენტარი მისი უფროსი არ არის და მხოლოდ ქართველი ხალხია ხელისუფლების უფროსი:

„თაობები შეეწირნენ საქართველოს დასავლურ გზას. ესენი ფიქრობენ, რომ ამ ჟულიკობით ისევ ჩაგვაბარებენ ჩრდილოელ „პატრონს“. ისტორიის წინაშე მოგვიწევს ძალიან მძიმედ პასუხისგება, თუ აზრზე არ მოვედით. ესენი ვინ არიან საერთოდ“?

ამას ჰქვია დემაგოგია ვახოსებურად, ანუ გოიმთა „პარადი“. დასავლურ გზას თაობები შეეწირნენ და,,. ახლა რა? რუსეთის გუბერნიად გვიპირებენ გადაქცევას! არა, იქნებ „გაზპრომის“ ფილიალად? ზოგიერთი ვახოსნაირი იძახის, ბიძინას და ვალოდია პუტინს საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდათო. ისე, ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე იმდენს უნდა კავშირის აღდგენა, ამ ამბავს ნახევარი მსოფლიო ოვაციებით შეხვდებოდა, მაგრამ ამ საქმეს სტალინისა და ჩემ გარდა თავს ვერავინ მოაბამს. სამწუხაროდ, იოსება პაპა მოკვდა, მე კიდე მეზარება. რაღა დაგიმალოთ და,,. როდესაც პრორუსულ და პროდასავლურ ორიენტაციაზე ლაპარაკობენ, მეცინება, საბჭოთა კავშირი გორბაჩოვისა და მავანთა უნიათობით რომ არ დაშლილიყო, დარწმუნებული ვარ, ე.წ. პროდასავლელები სამაგალითო „კამსამოლები“ იქნებოდნენ.

ექსპერტ კახა გოგოლაშვილის თქმით, ევროკავშირის მხარდაჭერაზე უარის თქმა და მისი გავლენის სფეროდან გამოსვლა საქართველოსთვის ნიშნავს არა მარტო რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩენას, არამედ მოსკოვის გავლენის სფეროში აღმოჩენას.

წარმოგიდგენიათ? თუ ჩვენ გადავწყვეტთ ვალების შემცირებას, თუ უარს ვიტყვით ახალი სესხების აღებაზე, ეგრევე აღმოვჩნდებით მოსკოვის გავლენის სფეროში. სხვათა შორის, იყო დრო, ჩვენ რეალურად ვიყავით მოსკოვის გავლენის სფეროში, მაგრამ იმ მოსკოვში ვერ ბედავდნენ იმდენს, რამდენსაც დღეს ბედავენ ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში. ეს ერთი! მეორე – როდესაც ჩვენ ვიყავით საბჭოთა სისტემის გავლენის სფეროში, ეგეთ გამოყ,,.ევებულ ექსპერტებს ჭკუას არავინ ეკითხებოდა!

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებიდან 40 წუთში გამოცანცარდა ნიკანორ მელია და განაცხადა, შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელს ვაწერთო:

„მიუხედავად 19 აპრილის დოკუმენტში ჩვენთვის მიუღებელი გარკვეული დებულებებისა, რის გამოც, აქამდე ჩვენ ხელი არ მოგვიწერია ამ შეთანხმებისთვის, არსებული უმძიმესი სახელმწიფოებრივი რისკების შეფასების შემდეგ, მივიჩნევთ, რომ შექმნილ მდგომარეობაში ვალდებული ვართ, დავდგეთ საკუთარ მოსაზრებებზე და წინააღმდეგობებზე მაღლა და ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას“.

დუპლეტები! ხუთი თვე ხელი არ მოაწერეს, პარლამენტში არ შეეთრივნენ და ახლა, როცა მიშელის „ბიბლია“ ანულირებულია, ხელს ვაწერთო, რისკები გავაცნობიერეთო, საკუთარ მოსაზრებებსა და წინააღმდეგობებზე მაღლა უნდა დავდგეთო. და რა? თუკი გაბათილებულ დავთარზე ზაალ უდუმაშვილი ხელს მოაწერს, ევროკავშირი 75 მილიონ ევროს გვაჩუქებს? არა, ამათ, ამ უბედურებს თავიანთი მიზნები აქვთ, რაღაცას ჩირთიფირთობენ, არჩევნების მერე გამოვლენ რუსთაველზე და დაიწყებენ: ჩვენ, პროდასავლურ ძალებს, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ მიშელის ხელშეკრულებას, პრორუსულმა „ოცნებამ“ საერთოდ უარყო, გადადგეს ბიძინა ივანიშვილი, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები!

ვადამდელი არჩევნები რომ ჩატარდეს, როგორ გგონიათ, ვინ მოიგებს დიდი უპირატესობით? რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“. ამათ არც ვადამდელი არჩევნები აწყობთ, ამათ იმედი აქვთ, რომ ვადამდელის პერიოდში მოაწყობენ არეულობას, ან გასკდებიან ნაკერავზე, დაიწყებენ ღნავილს და მოითხოვენ კოალიციას, რაც გამორიცხულია, ამ უტვინოებთან რაიმე სახის თანამშრომლობა გამორიცხულია, ამათ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეჭაჭეობის დეპარტამენტი რომ შეუქმნა, იმასაც ვერ ჩააბარებ, ახლად გამოხდილ არაყში ჩააფსამენ!

დავით ჭიჭინაძე, ადრე „ოცნების“ ეგიდით რომ გახდა პარლამენტარი და ამის გამო „ოცნება“ მაგრად არის გასაჯოხი, ახლა იძახის, რაკი მთავრობამ სესხზე უარი თქვა, 3 ოქტომბერს სრულიად საქართველო გამოვა ქუჩაში, მთავრობამ დაარღვია ევროპელ პარტნიორებთან არსებული ყველა შეთანხმება და ამით მომავალი წაართვა ქვეყანასო.

სხვათა შორის, როდესაც ჩვენ მოსკოვის გავლენის სფეროში ვიყავით, არც დავით ჭიჭინაძის მსგავსი დუპლეტები გამოჰყავდათ ტელევიზორში!

სხვათა შორის, ამ დღეებში ევროკავშირმა მიმართა თალიბანს, ვიმედოვნებთ, მედიის თავისუფლება დაცული იქნება ავღანეთშიო.

ვერ მიხვდით, ხომ? ევროკავშირს იმედი აქვს, რომ ავღანეთში დაცული იქნება მედიის თავისუფლება და ახლა ამიხსენით, ესენი საერთოდ გონზე თუ არიან? არ ვიცი, მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჯერ ამათ არ იციან, რა მოხდა ავღანეთში, რა ჩაიდინეს ამერიკელებმა და რა იდიოტობა გააკეთა მძინარე ჯომ.

ბელა ზედელაშვილი
555 48 48 61

დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სამართლიან და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდება

გვესაუბრება
უფლებადამცველი, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელი
გრიგოლ გაგნიძე:

— ბატონო გრიგოლ, საზოგადოება გიცნობთ, როგორც ადვოკატს და უფლებადამცველს. ბოლო ხანებში თქვენი აქტივობები შესამჩნევი გახდა არჩევნებთან დაკავშირებით.

— ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებით ცსკო-ს დადგენილება №44/20–21 შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამ ჯგუფის წევრი გახლავართ მე.

„ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიას“ დაახლოებით, 10-წლიანი სადამკვირვებლო გამოცდილება აქვს და სხვა, ამ კუთხით გამოცდილ 11 ორგანიზაციასთან ერთად ჩართული ვართ სადამკვირვებლო საქმიანობაში.

სამწუხაროდ, ახლახან, „აისედმა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ უარი განაცხადეს კომისიის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობაზე.

ბოლო ხანებში სულ ასე აკეთებენ — იწყებენ და მერე გადიან პროცესებიდან.

ბოლოს ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში ცსკო-ს თავმჯდომარის შესარჩევი კომისიის წევრები იყვნენ, მაგრამ რაღაც არ მოეწონათ და გავიდნენ. ეს უფრო პოლიტიკურ ნაბიჯებს ჰგავს.

— რა პოლიტიკურ ნაბიჯებს გულისხმობთ?

— სამწუხაროდ, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად ოპოზიციის მხარდამჭერებად მოიაზრებენ.

ეს ორგანიზაციები, სადაც თავიანთ სასარგებლო ამინდს ვერ ქმნიან, გადიან პროცესებიდან და მერე კრიტიკას იწყებენ.

გვინახავს მათი დასკვნები, მაგალითად, საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ ეუთო/ოდირმა და მონიტორინგის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა სულ სხვა, საპირისპირო დასკვნები გამოაქვეყნეს, იმის მიუხედავად, რომ ეს არასამთავრობოები დაჟინებით უჩიჩინებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ აღიაროთ საპარლამენტო არჩევნების შედეგებიო.

მათმა დამფინანსებელმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა რომ აღიარეს ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობა სამართლიანად და გამჭვირვალედ, მერე გაჩერდნენ.

პრეზიდენტის არჩევნების დროს ჩვენი ორგანიზაცია იყო ცსკო-ს წევრების შესარჩევი კომისიის წევრი ორგანიზაცია.

ახლა ჩვენ ვმუშაობთ საკონსულტაციო საბჭოსთან არსებული სპეციალური ჯგუფის წევრებად და მივიჩნევთ, რომ კარგი იქნებოდა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს უარი არ ეთქვათ მუშაობაში მონაწილეობაზე — კრიტიკა იქნებოდა თუ შენიშვნა, სამუშაო პროცესს ეს, გარკვეულწილად, წაადგებოდა.

— საერთოდ გამოეთიშნენ საარჩევნო პროცესებს?

— არა, თავიანთი საბჭო შექმნეს, რომელიც, დიდი ეჭვი მაქვს, აპრიორი კრიტიკულად იქნება განწყობილი საარჩევნო პროცესებისადმი.

— თქვენი ფუნქცია რა არის?

— ჩვენი ფუნქციაა, გავარკვიოთ, რამდენად კანონიერად განხორციელდა გასაჩივრების პროცედურები ოლქებსა და უბნებში და გარკვეული დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება ცსკო-სთვის. მიგვაჩნია, რომ ყოველი კრიტიკული საჩივარი უნდა იყოს არგუმენტირებული და სამართლიანი და არა პოლუსირებული და ტენდენციური, როგორც ეს ახასიათებს რადიკალურ პოლიტიკურ ოპოზიციას და მათთან ასოცირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

— ბატონო გრიგოლ, ამ ათი წლის განმავლობაში რა დინამიკით ვითარდება საარჩევნო პროცესები საქართველოში?

— 2012-დან შვიდი არჩევნები გავიარეთ და, ჩემი აზრით, ახლანდელი ხელისუფლება ნორმალურად, დამაკმაყოფილებლად ატარებს არჩევნებს. ხარვეზები, ცხადია, არის, მაგრამ ყოველ მომდევნო არჩევნებზე უმჯობესდება პროცესები.

— ბოლო დროს ქართული ტელევიზიები ხშირად აქვეყნებენ ე.წ. ინტერაქტივებს არჩევნებთან დაკავშირებით. ეს ინტერაქტივები არჩევნების შედეგებზე რამენაირად გავლენას ახდენს?



— ესენი ამ რეიტინგების გამოქვეყნებით ქართულ საზოგადოებაზე კი არა, საერთაშორისო ორგანიზაციებზე მუშაობენ, რომ დაარწმუნონ ისინი, თუ როგორი კარგები არიან, მობილიზებულები და სამართლიანები. მაგრამ სიტუაცია სხვაგვარია — საზოგადოებას აინტერესებს, ვინ რისი გამკეთებელია, ანუ ხალხს აინტერესებს არა რეიტინგები და პოლიტიკური კინკლაობა, არამედ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა.

რაც შეეხება პროცენტებს, ეს მათი დაკვეთაა და როგორც მათ სურთ, რა ინტერესებიც ამოძრავებთ, იმასთან მიახლოებულ პროცენტებს აწერინენენ. ფაქტია — ეს დესტრუქციული ოპოზიცია გამოკითხვებში სულ იმარჯვებს, მაგრამ არჩევნების შემდეგ სულ სხვა რეალობაში ხვდებიან.

დაიღალა ხალხი — აღარავის აღარ აინტერესებს ამდენი კინკლაობა, ყალბი რეიტინგები და დაპირებები — რომ მოვალთ, ამას დავსჯით, იმას დავსჯით. საზოგადოებას სჭირდება ნორმალური ცხოვრება. რასაც გვპირდება პრემიერი, მომავალ წლებში, იმედია, განხორციელდება და რეალური აღმშენებლობის პროცესები დაიწყება საქართველოში.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ლოჟნაია ტრევოგა“, ანუ „თუ გინდა, ჯვარს ეცვი...“

ზოგიერთი გაზეთის პირველ გვერდს რომ გადაავლებ თვალს, თუ სინდისი გაქვს, იმწამსვე თავი უნდა მოიკლა, რადგან როგორც პატივცემული გაზეთის პირველი გვერდი იუწყება, ქვეყანა იღუპება, უფრო სწორად, დაღუპულია უკვე — ქვეყანაში მასობრივი შიმშილია, ადამიანები პანტაპუნტით იღუპებიან, ხელისუფლება მხოლოდ ფულის კეთებაზეა გადასული, მმართველი ელიტის წარმომადგენლები, ყველანი გონებაჩლუნგები არიან და ქვეყნის მართვისა არაფერი გაეგებათ, სახელმწიფო მიტაცებული აქვს ოლიგარქს და ნელ-ნელა და დაგემოვნებით ჭამს და ანადგურებს ყველაფერს.

აი, ამ მეორედ მოსვლას გვაუწყებს გაზეთის პირველი გვერდი და პირდაპირ მიგანიშნებს, რომ ასეთ სიტუაციაში სიცოცხლე არ ღირს და თუ კაცი ხარ და თავმოყვარეობა გაქვს, შუბლში ტყვია უნდა დაიხალო, ან ამის საშუალება თუ არ გაქვს, აგერ თოკი, განასკვე მარყუჟი და გაყავი შიგ ეს შენი უბედური თავი.

გაზეთს თუ გადაურჩი, ე.წ. ოპოზიციურ ტელევიზიებს ნამდვილად ვერ გადაურჩები.

ჩართავ „მთავარს“ და ნიკუტა გვარამია იხოკავს ლოყებს და გაბმით მოსთქვამს მიცვალებულის დატირებაში დაოსტატებული დედაკაცივით:

— რა ქვეყანა ჩადეს მიწაში, მიწა კი დავაყარე ამ „ქართულ ოცნებას“ და მაგათი კუბო დავდგი მე.

გვარამიას მოთქმა-გოდებით შეძრული და შეძრწუნებული სხვა არხზე გადართავ და უცებ „შავნოდარას“ (მელაძის) გამყინავი ხმა დაგატყდება თავზე მეხივით.

— როგორც ჩვენმა გამომძიებელ ჟურნალისტთა გუნდმა დაადგინა, — დრამატული, უკიდურესად შეშფოთებული ხმით იწყებს „შავნოდარა“ იმ უბედურებების ჩამოთვლას, თუ რა დაადგინა გამომძიებელ-ჟურნალისტთა გუნდმა და ისეთ აპოკალიფსურ ამბებს ჰყვება, ძარღვებში სისხლი გაგეყინება.

ხმაც უცნაური აქვს „შავნოდარას“ — მჟღერი, ჟღარუნა, გაბზარული ქვაბი თუ დაჭყლეტილი ტაშტი რომ გამოსცემს, ისეთი.

კი არ ლაპარაკობს „შავნოდარა“, თითქოს დაფდაფებზე ურტყამს და მოსახლეობას ზაფრავს.

„შავნოდარას“ იქვე, იმავე არხზე, ინგა გრიგოლიას კივილი ჩაენაცვლება და ახლა ის ცდილობს შენს გაგიჟებას: დაიქცა და დაიღეწა ყველაფერი. ნაგვის ურნებთან დამშეული ადამიანების რიგი დგას. საავადმყოფოებში ადამიანები იხოცებიან. კორონა გვიტევს. გქონდეს შენი რეაქცია.

„რეაქტიული“ ქალბატონია ინგა და ჩვენგანაც რეაქტიულ რეაქციას ითხოვს — ჩვენც ინგასავით უნდა ვიკივლოთ და ვიყვიროთ, ტანსაცმელი შემოვიხიოთ, გავგიჟდეთ, გავშლეგდეთ, გადავირიოთ.

„ტვ-1“-დან „კავკასიაზე“ გადართავ და იქ „აქუ დაგხვდება“, რომელიც ზუსტად იგივეს ლაპარაკობს, რასაც გვარამია, მელაძე, გრიგოლია, ოღონდ დაბალ ტონალობაში, სევდიანი, ცრემლნარევი ხმით, თვალებს მიამიტურად აფახულებს ალალ-მართალი და პატიოსანი კაცივით და მონოტონურად, ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილივით ისეთ რაღაცებს ღერღავს, თუ გინდა, ჯვარს ეცვი, საშველი მაინც არ არის.

რას გვერჩით, თქვე დედაარღნიანებო, რას გვემართლებით, რას გადაგვეკიდეთ?

რა გინდათ, რისი მიღწევა გსურთ, მთელი ერი გინდათ ჭკუიდან გადაიყვანოთ, მთელი ერი გინდათ შოკში ჩააგდოთ და დაზაფროთ, მთელ ერს გინდათ ფსიქოზი დამართოთ?

ვის დავალებას ასრულებთ? ვის შეკვეთას ასრულებთ? ვინ გიხდით ფულს ამ მავნებლობასა და არამზადობაში?

სადომაზოხისტები ხართ? თვითდაზიანების და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი მანიაკები ხართ და ჩვენც იქითკენ გვიბიძგებთ?

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ, რასაც თქვენ აკეთებთ, „ლოჟნაია ტრევოგა“ ჰქვია ამას. რუსულად იმიტომ გეუბნებით, რომ პატრონის ენა უფრო კარგად გესმით თქვენ, ვიდრე ქართული.

დავით ქავთარია

მეტი სიცოცხლე ყველა უბანში

თბილისის საკრებულოს კანდიდატების პროპორციული სიის წარდგენა

დედაქალაქის მოქმედმა მერმა კახა კალაძემ 1 სექტემბერს თბილისის საკრებულოს ქართული ოცნების პროპორციული სია წარადგინა.

• **ლევან ჟორჟოლიანი** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **ოთარ გრიგოლია** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **თინათინ ნიბლოშვილი** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **გიორგი ჩაკვეტაძე** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **ნიკო კახეთელიძე** – ურბანისტი;
• **ნინო ვარდოსანიძე** – ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის თანაშემწე;
• **აკაკი ალადაშვილი** – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი;
• **გიორგი ახვლედიანი** – საკრებულოს თავმჯდომარის მოქმედი მოადგილე;
• **ნინო რუხაძე** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **ლევან აბაშიძე** – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს ყოფილი ხელმძღვანელი;
• **გურამ ოქროპირიძე** – „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე;
• **ანა კაკაბაძე** – „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის აპარატის თანამშრომელი;
• **ვლადიმერ ბოჟაძე**;
• **ალექსანდრე ხუჯაძე** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **მარიამ ზაქარიაშვილი** –„ ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის აპარატის თანამშრომელი;
• **ლევან დავითაშვილი** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **შალვა ოგბაიძე** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **ნათია მოდებაძე** – „ქართული ოცნების“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;
• **ლევან არველაძე** – საკრებულოს მოქმედი დეპუტატი;
• **არჩილ გორდულაძე** – „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის აპარატის უფროსი;
• ანა კილაძე;
• **გიორგი ბრეგვაძე** – აქტივისტი;
• **თათია ჩახვაშვილი** – თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის აპარატის უფროსი;
• **ვიტალი ონიანი** – ვაკის რაიონის „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე;
• **მარიამ გელაშვილი** – აქვს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციაში მუშაობის გამოცდილება.

19 აპრილის შეთანხმების საფუძველზე, ცოტა ხნის წინ **საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებების** თანახმად, დედაქალაქის 50-წევრიან საკრებულოში მოქალაქეები 40 დეპუტატს პროპორციული, 10-ს კი – მაჟორიტარული წესით აირჩევენ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და პოლიტსაბჭოს წევრები ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდნენ

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრები, შალვა პაპუაშვილი, მაკა ბოჭორიშვილი და ნიკოლოზ სამხარაძე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ალბერტ იონსონს, ხელმძღვანელის მოადგილე, ჟილ საფს და პოლიტიკურ ანალიტიკოს, ურდურ გუნარსდოტირს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. აღინიშნა, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან თვითმმართველობის არჩევნებზე უზრუნველყოფილი იქნება თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო გარემო.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) საქართველოს მთავრობის მოწვევით ქვეყანაში 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის სადამკვირვებლო მისია (EOM) გახსნა, რომელიც 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პროცესს დააკვირდება.

კახა კალაძის საარჩევნო შტაბის უფროსის გიორგი ამილახვარის განცხადება

„მოგესალმებით, გვინდა გამოვეხმაუროთ გამოქვეყნებულ სოციოლოგიურ კვლევებს, რომლის მიხედვითაც, ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს კახა კალაძეს, როგორც „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს მხარს უჭერს გამოკითხულთა 61.4% პროცენტი. წინა თვის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით, კახა კალაძის მხარდამჭერთა რაოდენობა 1,2% პროცენტით გაიზარდა. ჩვენი მოლოდინი გამართლდა, ჩვენ აქტიურად გადავედით საარჩევნო კამპანიაზე და შესაბამისად რეიტინგიც გაიზარდა. ყველა ლოგიკის მიხედვით, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ეს რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდება.

არაერთხელ გვითქვამს, და ეს უკვე მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიის კვლევითაც დასტურდება, რომ კახა კალაძე არის, პრაქტიკულად, უალტერნატივო და უკონკურენტო კანდიდატი მიმდინარე თვითმმართველობის არჩევნებში. ასეთი მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისელებს.

ამავე კვლევით, ასევე ქვეყნის მასშტაბით, პარტია „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერს გამოკითხულთა 47.2% პროცენტი, რაც თავის მხრივ, ასევე, ადასტურებს, რომ კახა კალაძის გუნდი მყარი უმრავლესობით შევა თბილისის საკრებულოში. დღეს კახა კალაძე წარადგენს საკრებულოში თავისი გუნდის წევრებს, რაც ამ რეიტინგს კიდევ უფრო გაამყარებს.

კახა კალაძე და მისი შტაბი გადასულია აქტიურ საარჩევნო კამპანიაზე. მივდივართ ყველა უბანში, კოვიდ-რეგულაციების დაცვით ვაცნობთ ჩვენს პროგრამას მოსახლეობას და ვესაუბრებით მათ საჭიროებებზე. ამის პარალელურად, ჩვენი ოპონენტებისგან ვხედავთ არა საარჩევნო პროგრამის გაცნობას მოსახლეობისთვის, არამედ იაფფასიან პროვოკაციებს თბილისის შტაბზე, რომელიც რამდენიმეჯერ განახორციელეს მათმა აქტივისტებმა სალებავების შესხმით.

ეს ყოველივე მიუთითებს, წინასწარ აღიარებულ მარცხს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 2 ოქტომბერს ჩვენი დედაქალაქის ამომრჩევლების მხარდაჭერით, კახა კალაძე პირველივე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს საკრებულოში მისი გუნდიც და შესაბამისად გაიმარჯვებს თბილისიც!“

განვითარება ყველა რეგიონს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატები

„ჩვენ, ძვირფასო მეგობრებო, ქვეყანას ვმართავთ პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულით, გვაქვს შეცდომებიც, არასოდეს არ დაგვიმალავს, მაგრამ შეცდომებს ვასწორებთ და მივდივართ წინ. დიდი პასუხისმგებლობით ვარჩევთ ჩვენს კანდიდატებს თითოეულ ქალაქში, თითოეულ მუნიციპალიტეტში იმისთვის, რომ ყველა არჩეული მერი მოემსახუროს და ემსახუროს საკუთარ ქვეყანას, ქალაქს, მუნიციპალიტეტს და ხალხს. ასეთი კაცი შევარჩიეთ ქუთაისისთვის, ამ ულამაზესი ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრისთვის, ბატონი იოსებ ხახალეიშვილი. კაცი, რომელსაც მთელი ქუთაისი იცნობს, რომელიც ღირსეული ქუთაისელია და რომელიც ღირსეულად ემსახურება თავის ულამაზეს ქალაქს, აქვს დიდი გამოცდილება. მუშაობდა მანამდე გუბერნატორის მოადგილედ, შემდეგ, ახლა არის ქალაქის მერი და ღრმად ვარ დარწმუნებული, იგი წარმატებით გააგრძელებს ქუთაისის მერის თანამდებობაზე მუშაობას და მოგემსახურებათ თქვენ, ქუთაისელებო. — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ქუთაისში **იოსებ ხახალეიშვილის** წარდგენაზე.

●

„მოგეხსენებათ, ჩვენ აქტიურ საარჩევნო კამპანიას ვაგრძელებთ და დღეს წარმოგიდგენთ მერობის კანდიდატს, ჩვენთვის საამაყო სპორტსმენს, **გიორგი ნემსაძეს**. კაცი, რომელმაც თავისი შრომით მიაღწია წარმატებას და საამაყოა ჩვენთვის ყველასთვის და კაცი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ცაგერს და მოემსახუროს ცაგერს და მის მოსახლეობას. მადლობა გიორგის ამ პატრიოტიზმისთვის და ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის სიყვარულისთვის“. — აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

●

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 120 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდა ბოლო 8 წლის განმავლობაში. თქვენ გყავდათ და გყავთ ჯერ კიდევ მოქმედი მერი, ბატონი კობა ლურსმანაშვილი, რომელიც ღირსეულად, ერთგულად, მთელი გულით და სულით ემსახურა ხარაგაულს და რომელიც ასეთივე ერთგულებით, თავდადებით ბოლომდე დაიხარჯება და გააგრძელებს ხარაგაულის და ხარაგაულელების მსახურებას.

ჩვენ გვაქვს ახლა ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები, თვითმმართველობის არჩევნები. ყველა მუნიციპალიტეტში ჩვენ ვარჩევთ დიდი სიფრთხილით მერს, კანდიდატებს, რომლებიც მოემსახურებიან ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და გავიმარჯვებთ აუცილებლად ყველა ქალაქში და ყველა მუნიციპალიტეტში იმისთვის, რომ ქვეყანამ გააგრძელოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარება. ეს არის ჩვენი ამოცანა, ეს არის ჩვენი მიზანი. ამას აუცილებლად მივაღწევთ თქვენთან ერთად, მეგობრებო. - აღნიშნა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ხარაგაულის მერობის კანდიდატის **კობა ლურსმანაშვილის** წარდგენაზე.

●

„გვაქვს გეგმები, თუ როგორ განვავითაროთ ადგილობრივი წარმოება. ბუნებრივია, ლენტეხს აქვს უნიკალური ბუნება და რესურსი, პოტენციალი აუცილებლად უნდა იქნას ბოლომდე გამოყენებული ტურიზმის მიმართულებით ვგეგმავთ, ყველა მუნიციპალიტეტში არსებული, როგორც ძველი ასევე ახალი ტურისტული პოტენციალი იქნას სრულად შესწავლილი და აღდგენილი, ყველა ის ტურისტული კერები, ცენტრები, რომელიც მანამდე იყო, თუნდაც კომუნისტების დროს, უნდა აღვადგინოთ, მოვუაროთ გავალამაზოთ და კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ, ახალი ტურისტული ცენტრები შევქმნათ იმისთვის, რომ ბოლომდე, სრულად იყოს ათვისებული ის რესურსი და პოტენციალი, რომელიც ჩვენს ულამაზეს, უნიკალურ ქვეყანას გააჩნია. — განაცხადა ლენტეხში სტუმრობისას **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

საჩხერის მერობის კანდიდატის ლევან ივანაშვილის გამოსვლა

„ნამდვილად ვიცი თუ რა პრობლემებია საჩხერეში, რომელ სოფელს რა უჭირს, და ვის, თუ არა ჩვენ გუნდს, „ქართული ოცნების“ გუნდს, შეუძლია ამ პრობლემების აღმოფხვრა.

აქ აღნიშნეს, რომ საჩხერეში ნამდვილად ბევრი რამ არის გაკეთებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ, სწორედ ამან, ამ სიკეთეებმა, რომელიც მან საჩხერეს მოუტანა, მოგვცა საშუალება, რომ ჩვენ უკვე უფრო ფართო ასპარეზზე გავსულიყავით ჩვენს გუნდთან ერთად. ჩვენ, ჩვენმა გუნდმა, შევძელით, რომ უკვე უახლოეს წლებში მიგვეღწია იმისათვის, რომ ყველა სოფელში ყოფილიყო ცენტრალური გზა მობეტონებული ან მოასფალტებული. დავიწყეთ ყველა სოფელში წყალმომარაგება, ეს ეტაპი ახლაც აქტიურად მიმდინარეობს რიგ სოფლებში და ვფიქრობთ, როგორც ბატონმა პაატამ აღნიშნა, ის ორი დიდი სოფელი ძალიან მალე დაიწყება და მათაც გავახარებთ ამ კუთხით“. - განაცხადა **ლევან ივანაშვილმა** საჩხერის მერობის კანდიდატად წარდგენის ცერემონიალზე.

„რამდენჯერაც არ უნდა ჩამოვიდე ულამაზეს ცაგერში, ყოველთვის იგრძნობა განსაკუთრებული სითბო და სტუმარ-მასპინლობა. უნიკალური და გამორჩეულია თავისი ისტორიული ძეგლებით. ხვამლის მთა, დღემდე რჩება ყველასთვის ამოუცნობ სილამაზედ და საიდუმლოდ. ბევრი ტურისტი და ბევრი დაინტერესებული ადამიანი, მთაში სიარულის მოყვარულები დადიან და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ ამ ადგილებში, ულამაზესი ხეებით და მღვიმეებით. როდესაც ვსაუბრობთ მთაში სიარულის სიყვარულზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ ულამაზესი სოფელი ლაილაში, რომელიც ამ ბოლო დროს გახდა პოპულარული. ბევრმა გადაიღო იქ სურათი, იმ ულამაზესი ხედებიდან, რომელიც იქ იშლება, თუმცა ბევრმა არ იცის, თუ რა დიდი მნიშნელობა ჰქონდა ლაილაშს ისტორიულად. ერთ-ერთი ყველაზე მეტად ეთნიკურად მრავალფეროვანი სოფელი, ძალიან მდიდარი, განვითარებული ვაჭრობით, რომელსაც ვთვლი, რომ კიდევ მეტი ტურისტის მოზიდვის შესაძლებლობა აქვს“. — თქვა პარლამენტის თავმჯდომარე **კახა კუჭავამ** ცაგერის მერობის კანდიდატის **გიორგი ნემსაძის** წარდგენისას.

კობა ნაყოფია – სააკაშვილის „ოქროს ბიჭუნა“, რომელიც დღემდე ოქროს კვერცხებს დებს „ნაცების“ ოგვაჯეში

„ნაცპოლიტიკოსები“ ისე იქცევიან, თითქოს საერთოდ არ არსებობდა 7 ნოემბერი, 26 მაისი, სამართალდამცავი თუ ზონდერბრიგადების მიერ უმოწყალოდ ჩახოცილი ახალგაზრდები, ციხე-კოლონიებში ნაწამები და დახოცილი „მოწინააღმდეგეები“, თითქოს, არც გაუგონარი ტერორის ქვეშ, ბიზნეს „ახეული“ბიზნესმენები არსებობდნენ. რაც კი სიბინძურე არსებობს, ყველაფრის შემომქმედი ნაცპოლიტიკოსები, ძალღონეს და ფანტაზიას არ იშურებენ სამი ასო დააწერონ შუბლზე თავის ამომრჩევლებს და როგორმე დამაგრდნენ იმ პოლიტიკურ დაფაზე საიდანაც მათი ბელადი ცხრა წელიწადია სამუდამოდ დასრიალდა და სხვადასხვა ქვეყნებიდან, სწორედ მათ საზიანოდ აკეთებს „წვეტიან“ განცხადებებს.

მიხეილ შინმოუსვლელის ბოლოდროინდელ განცხადებას პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უპასუხა – „ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩამოვიდეს ბატონი სააკაშვილი, გავერთობით ძალიან კარგად. მას შევპირდი, რომ დავახვედრებთ ჰალსტუხების ძალიან ლამაზ კოლექციას და შევაბრძანებთ ციხეში, გარემონტებულ ციხეში სხვათა შორის. ეს არის სააკაშვილის ბედი, თუ გაინტერესებთ ყველას. კიდევ ერთი მინდა ვთქვა, კაცი, რომელმაც გვაჩვენა სიმხდალის და ლაჩრობის უდიდესი მწვერვალი, ამის იქით რომ არაფერი არსებობს, ომის დროს მიატოვა ჯარისკაცები, სტუმარი კაცი ჰყავდა ჩამოყვანილი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიაგდო, მიატოვა ყველა და სტუმარი მიატოვა და მიწაზე იფორთხიალა. შემდეგ გახსოვთ ცნობილი კადრები, უკრაინაში როგორ ათრიეს თმებით. ასე, რომ ნებისმიერი მისი რაღაც მორიგი სულელური პროვოკაცია ჩვენში მხოლოდ ღიმილს იწვევს. თუ ჩამოსვლა უნდა ჩამოვიდეს, რატომ ვერ ჩამოდის, 9 წელი გავიდა. იმიტომ, რომ კურდღელია, ლაჩარი და მშიშარა კაცია“. დიახ, მიხეილის ლაჩრობის ფაქტები, ციხის კადრები მთელმა მსოფლიომ იხილა, ასევე, სხვა ქვეყნებისთვის ცნობილი გახდა სააკაშვილის და მისი ბანდის ფასადური პოლიტიკის მიღმა, რამდენი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული იმალებოდა, რომლის შემომქმედები სწორედ მიხეილი და მისი უახლოესი გარემოცვის წევრები გახლდნენ.

2012 წელს ჩასვრილმა ნაცებმა რომლებიც გარკვეული პერიოდი ქუჩაში გასვლასაც ერიდებოდნენ, მოკლე დროში ჩამოიბანეს სისხლი და სხვა სიბინძურეც. დღეს, მათ მიერ უკანონოდ მითვისებული ბიუჯეტის თუ გატყავებული მოსახლეობის ასობით მილიონი დოლარის წყალობით, მათ მიერ დაფინანსებული მედია უტიფრად ღაღადებს ნეპოტიზმზე, კორუფციაზე, რუსულ კავშირებზე და სხვა დაუსაბუთებელ დანაშაულზე რომლებსაც თითქოს ქართული ოცნების სახეები სჩადიან.

ყველაზე მეტ სისულელეს, „მოწინააღმდეგის“ მისამართით სწორედ ისეთი ნაცპოლიტიკოსები ღაღადებენ რომლებსაც სინდისის ნატამალიც, რომ ჰქონდეთ საერთოდ უნდა დადუმებულიყვნენ. მაგალითად, „აქუს სალობიეში“, ხალხის და ქვეყნის ბედით დამაშვრალმა კობა ნაყოფიამ „ქართული ოცნების“მისამართით განაცხადა „დადგებიან, ლაპარაკობენ მაღალფარდოვან სიტყვებს მერე არ ახსოვთ, ატყუებენ ხალხს“.

ნაყოფიას ძილი გაკრთობია, კურორტ მენჯის, ნოქალაქევის რეაბილიტაციის და სხვა სენაკში მოუგვარებელი პრობლემების გამო. დიახ, ის სენაკელებს გამარჯვების შემთხვევაში სამოთხეს პირდება თუმცა ჯოჯოხეთში მოსახვედრი სამოთხის რეკლამა, ნამეტნავად მოუძველდათ „ნაცპოლიტიკოსებს“...

წარსულ მივიწყებული ნაყოფია, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან დღემდე, აფინანსებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა დონის არჩევნებს. ამბობენ, რომ მან, კახა ბენდუქიძის ერთ-ერთი კომპანიის საბანკო ანგარიშის მეშვეობით, რუსეთში ცხოვრებისას ერთი მილიონი დოლარი ჯერ კიდევ 2003 წელს „ვარდების რევოლუციას“ შესწირა. თავიდან ის ჟვანია-ბენდუქიძის ფავორიტი იყო, მაგრამ ჟვანიას სიკვდილის მერე, უკვე უშუალოდ სააკაშვილის „ბიჭუნად“ იქცა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ კობა ნაყოფიას უკავშირდება 2007 წლის 30 ოქტომბერს სოფელ განმუხურში მომხდარი ინციდენტი. აღნიშნულ დღეს, ლამის შეტაკება მოხდა სააკაშვილის დაცვას, ადგილობრივ მოსახლეობასა და რუს ჯარისკაცებს შორის.

სააკაშვილმა ჩაბანი გამოლანძღა და პერსონა ნონ-გრანტად გამოაცხადა: ხვალვე წაეთრიე აფხაზეთიდან – საქართველოს ტერიტორიიდანო. რუსი სამხედროები ნაცემი ძაღლებივით იდგნენ „საქართველოს მთავარსარდლის“ წინაშე. რუსი სამხედროების განიარაღებას მიშა უშიშრად უყურებდა. ჰოდა, მაშინ სააკაშვილის რეიტინგი, რომელიც კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ იყო, უცებ ავარდა.

ეს ამბავი ხდება 2007 წლის

27 ოქტომბერს, ზუსტად ექვსი დღის შემდეგ გაოპოზიციონერებული ირაკლი ოქრუაშვილი გამოვა „იმედით“ ინგა გრიგოლიას გადაცემაში და სააკაშვილს პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთასა და სხვა დანაშაულში ამხელს. აი, რატომ სჭირდებოდა მიშას სასწრაფოდ რეიტინგის აწევა და თან იმგვარად, რომ გმირად გამოჩენილიყო. მან უკვე იცოდა, რომ მალე ლამის გმირად გამოცხადებულ, რეიტინგულ ოქრუაშვილს უნდა შეტოქებოდა. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ განმუხურის ინციდენტი დადგმული სპექტაკლი იყო. გავრცელებული ინფორმაციით, გენერალ სერგეი ჩაბანს სააკაშვილის გარემოცვიდან ერთი მილიონი დოლარი გადაუხადეს, განმუხურში ეს სპექტაკლი რომ გაეთამაშებინა. ეს თანხა კი კობა ნაყოფიამ გაიღო. მან ნაღდი ფული შავნაბადას რეზიდენციაში მიუტანა სააკაშვილს, რომელმაც თანხა გივი თარგამაძეს გადასცა. სცენარის ავტორიც და თანხის გადამცემიც თარგამაძე ყოფილა, ოღონდ მან გალელი ქართველი შუამავლის ხელით გაუგზავნა ფული ჩაბანს.

ამის მერე სააკაშვილმა ნაყოფია პოლიტიკაში მოიყვანა. ბოლნისის მაჟორიტარობა 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა კობას. მილიონი „ნაციონალებს“ მისცა, ნახევარი – საარჩევნო კამპანიას დაახარჯა. ნაყოფიას დიდი ფული აშოვნინა ხელისუფლებამ და მეწველ ფურადაც აქცია. ამბობენ, ბოლო სახელისუფლო პროექტი, ჰოლივუდური ბლოგბასტერი 2008 წლის ომის შესახებ – „აგვისტოს 5 დღე“ – ოცი მილიონი დაუჯდა ნაყოფიას შერონ სტოუნის ვიზიტიანადო. ნაყოფია აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილის უამრავ ახირებასა და ხუშტურს. ნაყოფია ყველა სურვილს უსრულებდა სააკაშვილს, თავისი ფულით დამატებითი კომფორტით უზრუნველყო პრეზიდენტის ისედაც სუპერკომფორტული „ბოინგი“, რომლის ინტერიერის შეცვლა არც ერთ სხვა პრეზიდენტს აზრად არ მოსვლია. ნაყოფიამ გადაუხადა ქორწილი სააკაშვილის ბიძაშვილს – ნიკა ალასანიას. იმ ოქროს და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ნივთების ჩამოთვლას, ვინ დაითვლის რომელთაც სააკაშვილი სხვადასხვა სტუმრებს თუ, უბრალოდ, ფავორიტ ქალბატონებს უძღვნიდა ნაყოფიას წყალობით.

ამბობენ, ყველა იმ ქართველ, თუ უცხოელ ქალბატონს, რომელთაც მიშასთან ერთი ღამე მაინც გაუტარებია, შინ „ზარაფხანის“ დამღიანი ერთი ძვირფასი ნივთი ან სამკაული მაინც აქვსო. მოკლედ, მიშა გრიალებდა, ნაყოფია – იხდიდა. თუმცა, ბოლოს კობა ნაყოფია ნაცხელისუფლებამ მოიძულა. მას ჩამოართვეს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ლიცენ-



ზიები, რომლებიც თავის დროზე უვადოდ გადასცეს...

განაწყენებულმა ნაყოფიამ საკუთარი ბიზნესის უცხოეთში ფორსირებულად გატანა დაიწყო. ცხადია, ამას ბენდუქიძესთან შეთანხმების გარეშე ვერ იზამდა. არსებობს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებულად იკლო „მადნეულში“ ოქროს მოპოვებამ, რეალურად კი ნაყოფია ცალკე მიშას უტეხავდა ფულს, ცალკე – ბიუჯეტს და ლონდონის ბირჟაზე, იქაურ ტრეიდერთა დახმარებით, სულ სხვა, ოშფორში დარეგისტრირებული კომპანიის სახელით ჰყიდდა, თანხას კი მარშალის კუნძულზე დარეგისტრირებულ სხვა კომპანიაში რიცხავდა.

ეს სქემა ვანო მერაბიშვილმა გაშიფრა და სააკაშვილს მოახსენა – სააკაშვილმა ნაყოფიას ღალატში დასდო ბრალი და განადგურებით დაემუქრა. მიშას, მაშინ ისიც გაახსენდა, რომ ნაყოფიამ ზრდილობიანი უარი უთხრა სააკაშვილს ერთ-ერთი ფსევდოოპოზიციური პარტიის მოსაქრთამი ფულის – ორი მილიონი დოლარის მიცემაზე, იმ მიზეზით, რომ ფული არ ჰქონდა იმ მომენტისთვის და მერე მეტს გადაიხდიდა. ამბობენ, რომ ეს ფული იმ ოპოზიციონერ ლიდერს დავით კეზერაშვილმა გადაუხადა. ასევე, ნაყოფიამ ჩაშალა ანაკლიაში ერთი სასტუმროს აშენების პროექტი, რომელიც შვიდი მილიონი დოლარი ჯდებოდა და აქაც იგივე მოიმიზეზა – გაისად ავაშენებ, ახლა მიჭირსო.

მოკლედ, ნაყოფია მოტეხვას აპირებდა. სააკაშვილი მას მაფიოზური კანონებით უსწორდება და არა – სამართლებრივად. ნაყოფიას გამო სააკაშვილს ურთიერთობა კახა ბენდუქიძესთანაც გაფუჭებია, თუმცა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ, რადგან ერთი „მტერი“ ყავდათ.

ნაყოფია საქართველოში 2005 წელს გამოჩნდა. ის რუსეთში კახა ბენდუქიძის მეგობრად და ბიზნეს-პარტნიორად ითვლებოდა. ბენდუქიძემ მოიყოლა ნაყოფია, როცა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა. მათმა წყვილმა დიდი მარიფათი გამოიჩინა – ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ნაწილი ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელთ.

ნაყოფია სახელმწიფო აუქციონებსა და ტენდერებში მონაწილეობდა, კახა ბენდუქიძე და რუსი ბიზნესმენი გენერალოვი კი ჩრდილში რჩებოდნენ, თუმცა შეძენილ ქონებასაც და მოგებასაც იყოფდნენ. ერთ დროს ხელისუფლების ფავორიტმა ბიზნესმენმა კობა ნაყოფიამ (იგივე – ბენდუქიძე და გენერალოვი), სს „მადნეულის“ ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი ორმოც მილიონად იყიდა. ამ კომპანიის ყიდვა ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონდა განზრახული და ეკონომიკის სამინისტროში მისმა კომპანიამ „ენერგოინდუსტრია-კომპლექტმაც“ შეიტანა ტენდერში მონაწილეობის განაცხადი. ამ დროს ბენდუქიძე სახელმწიფო მინისტრია, ეკონომიკის მინისტრი კი ნაყოფიას კლასელი ირაკლი ჩოგოვაძეა. ბადრი პატარკაციშვილი ოცდათექვსმეტ მილიონ დოლარს იხდიდა „მადნეულში“, ხოლო ნაყოფიას კომპანია „პრომინვესტორი“ – ოცდათხუთმეტ მილიონს.



მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ჩოგოვაძემ ფარულად გახსნა „ინდუსტრია-კომპლექტის“ პაკეტი, ნახა პატარკაციშვილის სატენდერო პირობები და ბენდუქიძე-ნაყოფიას აცნობა. იმავე დღეს „პრომინვესტორმა“ ახალი პაკეტი შეიტანა სამინისტროში. როცა ტენდერი ჩატარდა, „პრომინვესტორმა“ გაიმარჯვა – ის ოთხი მილიონით მეტს იხდიდა „მადნეულის“ ოთხმოცდაჩვიდმეტ პროცენტში. საინტერესოა, რომ ნაყოფიას ამ ორმოც მილიონში „კვარციტის“ აქციათა ორმოცდაათი პროცენტიც ერგო – „მადნეული“ სწორედ „კვარციტის“ წილის ნახევარს ფლობდა. არადა, „მადნეულის“ შეძენა, თანაც გაცილებით უკეთესი პირობებით, სურდათ უკრაინულ, ამერიკულ, გერმანულ, იტალიურ და სამ ბრიტანულ კომპანიას.

თუმცა „ბენდუქიძემ და კომპანიამ“ რეალურ ინვესტორებსა და იმჟამად ხელისუფლების არცთუ მორჩილ პატარკაციშვილს უსიტყვოდ მორჩილი ნაყოფია აირჩიეს. ამის შემდეგ კობა ნაყოფიამ უკვე „ეროვნული ზარაფხანა“ იგდო ხელთ. ესეც ჩოგოვაძისა და ბენდუქიძის მინისტრობისას მოხდა.

რადგან „ეროვნული ზარაფხანა“ სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტი იყო, მისი გაყიდვა ბენდუქიძეს არ შეეძლო, ამიტომ კომუნისტებისგან ისესხა ძველი სახელი და „საიუველირო ნაწარმის ქარხანა“ დაარქვა – „ეროვნული ზარაფხანა“ ამოვარდა სახელწოდებიდან და ობიექტს სტატუსიც მოეხსნა. ამის მერე, 2006 წლის მაისში, გაიმართა „ზარაფხანის“ აუქციონი, რომელშიც ისევ ნაყოფია-პატარკაციშვილი დაეჯახნენ ერთმანეთს.

ნაყოფიამ ტენდერამდე ერთი კვირით ადრე დააფუძნა კომპანია „გოლდ ინვესტი“, სასწრაფოდ ორი მილიონი დოლარი აიღო სესხად „საქართველოს ბანკიდან“ და ასე მიიღო ტენდერში მონაწილეობა. ცხადია, „გაიმარჯვა“ და ორ მილიონ ორმოცი ათას დოლარად ჩაიგდო „ზარაფხანა“ ხელში. არადა, ეკონომიკის სამინისტრომ წინა წელს „ეროვნულ ზარაფხანაში“ ჩაატარა აუდიტი და მისი ქონება ორმოც მილიონ დოლარად შეფასდა. ტენდერის მერე აუდიტის დასკვნა გაქრა ეკონომიკის სამინისტროდანაც, იმჟამინდელი პრემიერის – ზურაბ ნოღაიდელის ოფისიდანაც და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური სამსახურიდანაც. ამბობდნენ, ეს ყველაფერი ბენდუქიძის ნამოქმედარიაო.

იმ ქონებაზეც მოგახსენებთ, ორ მილიონ ორმოცი ათას დოლარად რომ მოიხელთეს ნაყოფიამ და მისმა მაფიოზმა ოლიგარქებმა. „ზარაფხანა“ დიღომში, ლუბლიანის ქუჩაზე მდებარეობს: ოთხ სართულიანი შენობა, დამხმარე სათავსო-ნაგებობები, ასამდე უნიკალური, ძვირადღირებული დაზგა-მაგიდა, რვა მილიონი დოლარის ოქროსა და ძვირფასი თვლების მარაგი, რომელიც „მხედრიონის“ პირობებშიც კი ხელუხლებლად დარჩა „ზარაფხანაში“, და კიდევ „ზარაფხანის“ კუთვნილი ოცდაათი ათასი კვ.მ მიწა დიღომში, ლუბლიანის ქუჩაზე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2006 წელს ერთი კვ.მ მიწის მინიმალური ფასი ორასოცდაათი დოლარი იყო. თუ ოცდაათ ათას კვ.მ-ს ორასოცდაათ დოლარზე გავამრავლებთ, აღმოჩნდება, რომ მარტო მიწა ექვსი მილიონ ცხრაასი ათასი დოლარი ღირდა. აი, ამხელა ქონება ჩაიგდო ხელში მართლაც და ჩალის ფასად კობა ნაყოფიამ.

თუმცა ეს არ არის ყველაფერი. ტენდერის პირობების თანახმად, „გოლდ-ინვესტს“ უნდა დაეფარა „ზარაფხანის“ ექვსი მილიონი ვალი, რომელიც სახელმწიფოს მიმართ დაუგროვდა საწარმოს. არადა, კაპიკი არ გადაუხდია ნაყოფიას. თუმცა, ვალის გადახდის გრაფიკიც გაწერილი იყო. ნაყოფიამ თანაკლასელ ირაკლი ჩოგოვაძეს ცალკე მისწერა, ცალკე – ზურაბ ნოღაიდელს, – ქართული ოქროს წარმოება უნდა ავაღორძინოთო. მათაც ერთობლივად გადაწყვიტეს – ოღონდ ეგ საშვილიშვილო საქმე გააკეთე, ექვსი მილიონი რა სალაპარაკოაო, და ჩამოაწერეს სახელმწიფო ვალი.

ქართულ მედიაში არაერთი ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა, რითაც, პრაქტიკულად, დადასტურდა, რომ ნაყოფია და მისი ჯგუფი ინდოეთიდან და არაბეთიდან ეზიდებოდნენ იაფფასიანი ოქროს ნაკეთობებს და მერე „ზარაფხანის“ დამღით ყიდდნენ ვითომ ქართულ ნაწარმს. წალეკა ქართული ოქროს ბაზარი უხარისხო ოქრომ. „მადნეულში“ მოპოვებულ, „კვარციტში“ გადამუშავებულ ოქროს კი ნაყოფია უცხოეთში ეზიდება, რადგან მაღალი ხარისხისაა და ევროპაში კარგად იყიდებოდა...

დღეს, ნაყოფია ნეპოტიზმზე, დაქცეულ ეკონომიკაზე, კორუფციაზე, მოსახლეობის სიღარიბეზე და ათას დაუსაბუთებელ სისულელეზე „მსჯელობს“ და ამომრჩევლებს 2 ოქტომბრის „რეფერენდუმზე“ რუსულ ოცნების მმართველობის დასასრულებლად „ეპატიჟება“. თან, კურორტ „მენჯს“ და არამარტო, დაადგა თვალი და სენაკელებს „აღორძინებას“ უტიფრად პირდება. აი, ასეთი მძიმე წარსულის მერობის კანდიდატები ყავთ ნაცებს და „ქართული ოცნება“ ნამდვილად სცოდავს იმაში, რომ მათ დღემდე ვერ მიუჩინა ის ადგილი რაც დამსახურებულად ეკუთვნით. დიახ, სწორედ ჩასაფრებული, ცილისმწამებელი, ქვეყნის და ხალხის დამაქცევარი ნაცლიდერები არიან დამნაშავეები ყველაფერ ცუდში რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

რა ქენი გუდუნა ეს?

ამ არჩევნებში ერთმანეთის მთავარი კონკურენტები იქნებიან გახარია და ოგბუნუჯუ – მათი პროგრამები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს

ვუყურე ბატონ „ვოზდუხის“ (გიორგი გახარიას პარტიის კანდიდატების წარმოდგენას) შოუს!

მომხრეებს არ გეწყინოთ, მისი ლაპარაკი, მიზნები და ამოცანები დიდად არ განსხვავდება თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატის, არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუს მიზნებისა და ამოცანებისგან.

ნიგერიის რომელიღაცა უბნის მეფე ხო არი „ვოზდუხა“, ეს „მასკოვებიდან“ ჩამოსული უარესია... ისაო, მე თბილისში დავიბადე და გავიზარდეო, ყველაზე კარგად ვიცი, რა სჭირდება თბილისსო.

ჩემი აზრით, ოგბუნუჯუს წაჰკბინა, შენ თბილისელი არ ხარ, კონკურენციას ვერ გამიწევო. არც ეგეთი ჰომოფობიურობავარგა – მერე რა, რომ ოგბუნუჯუ თბილისში არ დაიბადა და არც გია ხუხაშვილი ცხოვრობს მის მეზობლად? ბატონ გიას მაგისთვის რომ გაეწია რეკომენდაცია, განა ეგ კი ვერ გახდებოდა ბიზნეს-ომბუდსმენი, შინაგანი მინისტრი და შემდეგ კიდე პრემიერ-მინისტრი? აი, ეგ არი, პატრონი გინდა, გლეხი კაცითვინ არავინ არალი!

ოგბუნუჯუ იძახის, ყველაზე კარგად მე ვიცი, რა სჭირდება თბილისსო, ესეც იძახის, ყველაზე უკეთესად მე ვიციო. გამოდის, კახა კალაძემ არაფერი იცის, ხომ? ან იცის, მაგრამ ცუდად.

სხვათა შორის, ადრე გახარია ცოტა უფრო თავმდაბალი მეგონა, ასე არ ყოფილა, ადამიანი მეტეხიდან რომ გადმოგძახებს, მე ყველაფერი ყველაზე უკეთესად ვიციო, იმას პოლიტიკურად ძალიან დიდი წერტილი აქვს დასმული!

რაც შეეხება მის მოწაფეებს (მერობის კანდიდატებად წარდგენილებს), ისინი პატარა „ვოზდუხები“, ანუ მინი-გახარიები არიან, რომლებიც „უჩიტელს“ ისე ბაძავენ, თუ არ შეხედავთ, ხმითაც კი ვერ განასხვავებთ. ამ წუთას ქემოკლიძეს ვერავინ სჯობნის, მაგრამ იმედია, სექტემბრის ბოლომდე ხმას ყველა დაინაზებს და მიხვრა-მოხვრასაც დაამუღამებს, მთავარი პლასტიკა და შეხედულებებია.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო... ოგბუნუჯუ და გახარია კი ჰგავნან პროგრამებით ერთმანეთს და არ გამოვრიცხავ, უცებ ერთმანეთს რომელიმე სასტუმროშიც „დეემთხვნენ“, მაგრამ მაინც ვფიქრობ, 2-ში მათ შორის დიდი ჯახი იქნება.

ავოიე... ვნახოთ!

ამან, ამ კაცმა კალაძის დამარცხება განიზრახა და ამით ჩაიტარა პოლიტიკური ჰარაკირი. ეს არის მისი უდიდესი შეცდომა. შეიძლება რაღაცა დაგავალონ, მგრამ ყველაფერი კი არ უნდა შეასრულო?!

ხუმრობა იქით იყოს!

ეს ვინ ყოფილა, ხალხო?

ირაკლი კობახიძე იძახის, ჩვენმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კახა კალაძეს ტვინი გაუბურღა, გინდა თუ არა, შევხვდეთო. კახა არ არის ის კაცი, უარი ეთქვა, ბოლო-ბოლო, იფიქრებდა, შეიძლება რაღაც გაჭირვება ადგას, ეგებ დახმარება სჭირდება, ეგებ სააკაშვილმა გამოიჭირა რამეშიო? მაინც ყოფილი თანაგუნდელია, ქართველები ისედაც ცოტანი ვართ, რატომ არ უნდა შეხვედროდა?

თუმცა!

შეხვედრასაც გააჩნია, ბატონმა გახარიამ თავიდან ხელები გაასავსავა, არაო, არ შევხვედრივარ, როგორ გეკადრებათო? სანამ შაქროს მამალი სამჯერ იყივლებდა ტიბაანის ბოლოში, გახარია ცხრაჯერ ჩაუშვეს თანაპარტიელებმა, შეხვდა, კაცო, შეხვდა და ჯიგრულადაც ელაპარაკაო.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე: „თბილისის მერობის კანდიდატად დასახელებამდე გიორგი გახარია შეხვდა კახა კალაძეს. იყო კომუნიკაციის მცდელობა შუამავლის მეშვეობით ფინანსურ თემაზე, იყო პირდაპირი მინიშნებები იმასთან დაკავშირებით, რომ თუ იქნებოდა ჩვენი მხრიდან რაღაც ფინანსური მხარდაჭერა, გახარია თავის კანდიდატურას მერის პოსტზე არ დააყენებდა, რაზეც შესაბამისი პასუხი მათ, ბუნებრივია, მიიღეს. ეს არის აბსოლუტურად არასერიოზული. ჩვენ მგონი კეზერაშვილში ვეშლებით.

ანუ რა გამოდის?!

გიორგი გახარიამ, ზედმეტსახელად „ვოზდუხმა“ კახა კალაძესთან შეხვედრა იმიტომ მოინდომა, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მაყუთი დაეცინცლა? არა, მართლა ასე გამოდის, ხომ? აბა, ირაკლი კობახიძე, დეპუტატი, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ასეთ რაღაცას ხომ არ მოიტყუება? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ძალიან სახიფათო საკითხია – ტიპს პირდაპირ ადებენ ხელს, ფული მოითხოვაო, ხომ შეიძლება სასამართლოში იჩივლოს? არა, კობახიძე ასე ჰაიჰარად ვერ დაადანაშაულებდა, შანსი არ არი, დარწმუნებული ვარ, მტკიცებულებები ბლომად აქვს.

ყოფილ პრემიერს შანსი არ აქვს, რა უნდა, რის გაკეთებას ცდილობს? ჩემი აზრით, მან სცადა ფულის გაკეთება, მაგრამ რაკი კახა კალაძემ უარით გამოისტუმრა, მიადგა „ნაციონალებს“. ესე იგი, რაც ვერ მიიღო „ოცნებისგან“, მიიღო „ნაცმოძრაობისგან“ და დაადგა კიდევაც ღალატის მორიგ „აღმართს“.

ყველანაირი გამოკითხვებისა და კვლევების თანახმად თბილისში (60–65%) კახა კალაძე ლიდერობს. ეს არ გახლავთ ხელოვნური მონაცემები, ეს არის ბუნებრივი პროცენტი, რაც ამ ადამიანმა თავისი შრომით დაიმსახურა. რომ არა საზოგადოების ნაწილის სიბნელე და ბოღმიანობა, „მიჰა ჰამოდიანობა“, მეტსაც იმსახურებს. ფაქტობრივად, რაც კალაძე დედაქალაქის მერია, ქუჩაში ცხოვრობს. ეს ძალიან კარგად იცის გიორგი გახარიამ, ცოტა ხნის წინ თავადვე აქებდა, უზადო მენეჯერი, კარგი ადამიანი და მეგობარიაო (მეგობრებში დაიწყე ფულის კეთება, ბიჭო?!).

რა შეუძლია გააფუჭოს ბატონმა გახარიამ?!

თუ ვიფანტაზიორებთ, მას შეუძლია, თბილისის მერის არჩევნები გადაიყვანოს მეორე ტურში, კალაძეს უნდა წაართვას ხმების რაღაც რაოდენობა. აი, სწორედ ამიტომ მოითხოვა „მაყუთი“, მაგრამ რაკი სამი თითის კომბინაცია უჩვენეს, წავიდა ე.წ. ვაბანკზე. დავუშვათ, მან მოახერხა „ოცნების“ ხმების მიტაცება (მისი ამომრჩეველი ძირითადად „ოცნებაზე“ გაბრაზებული ხალხია) და დაინიშნა მეორე ტური კალაძე-მელიას შორის, მერე? არაფერი, კახა კალაძე მაინც მოიგებს, უბრალოდ მისტერ „ვოზდუხი“ შექმნის არასასიამოვნო (დროებით) პრობლემას „ნაციონალების“ სასარგებლოდ.

სხვათა შორის, გახარიას რომ ჰგონია, არც მთლად ეგრეა საქმე – ამ არაკაცური ნაბიჯით მან ძალიან გაიფუჭა საქმე თავისსავე მომხრეებში. სიტუაცია დაახლოებით ისეთია, როგორიც „დათა თუთაშხიას“ ფინალში – რა ქენი, გუდუნა, ეს?!

დიახ, ბატონი „ვოზდუხი“ (დამავიწყდა, დასაწყისშივე ამეხსნა, რატომ ჰქვია გახარიას „ვოზდუხი“... როგორც ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, ეს ზედმეტსახელი პარტიაში შეარქვეს უაზრო ტრაბახისა და ტყუილი დაპირებების გამო) ამჟამად გუდუნას როლშია – გაატუტუცეს ნიკანდრო ქირიებმა, გააცუცურაკეს, ფულს დაახარბეს და იმდენად დაახარბეს, აშშ-ს ერთ-ერთ სასტუმროში მიხოსთან ერთად ეძინა კიდევაც. გამოვიდა მეორე დღეს და იბლაყუნა, დამთხვევა იყოო, შემთხვევითობას ჰქონდა ადგილიო.

ჰა, ჰა, ჰა!

ხალხო, ამხელა აშუშუში გახარია და სააკაშვილი ერთმანეთს შემთხვევით დაემთხვნენ, თან ერთი ღამით. მიხოს ჰკითხეს, მართლა ერთად იყავითო? კი, წუხელ ერთად გვეძინა ჩახუტებულებსაო. ვითომ იხუმრა, აქეთ გაგვაშაყირა.

ტიპი გადადგა ცამოწმენდილზე, მელიას ვერ დავიჭერო. რაღაცა ჰქონდა ჩაფიქრებული, ეგონა, „ნაცები“ მელიას დაპატიმრების შემდეგ 300-ათასიან აქციებს ააგორებდნენ, ამ ხელისუფლებას დაამხობდნენ და თვითონაც გმირად წარმოჩინდებოდა. სპექტაკლი არ შედგა, სცენარი თავზე გადაახიეს. ამხელა კაცმა იმდენი არ იცის, რომ საქართველოში გმირები ასე ჰაიჰარად, თანაც არაფრისგან არ იქმნებიან. შენა, ძმაო, ფულიც აკეთო და კაი კაცის როლიც ითამაშო, ეგრე არ გამოდის.

ის გადადგა!

და ეს გადადგომა ბიძინა ივანიშვილმა ღალატში ჩაუთვალა!

რატომაც არ უნდა ჩაეთვალა?

როდესაც სახელმწიფო გაბარია, რეიტინგიც გაქვს, პატივისცემაც, სახელიც და ერთი ქეციანი ე.წ. პოლიტიკოსის დაპატიმრების გამო გარბიხარ, ეს ღალატია. თუნდაც წმინდა ადამიანური კუთხიდან შევხედოთ, ვინ დაგიჯერებს, რომ ეს უანგაროდ გააკეთე? არ გააკეთე უანგაროდ, შენ მანამდე გაიყიდე და მანამდე მოგცეს დავალებები. თუმცა, ვინც დავალებებს გაძლევს, ან უბრალოდ თამაშობს, ან კიდევ შენსავით გამოყ... ევებულია!

გახარია წაგებულ თამაშში ჩაერთო!

თუმცა წაგებულ თამაშშიც ფულს აკეთებს!

ასეთი თამაშები ცუდად მთავრდება!

ჩემი აზრით, არჩევნების შემდეგ ის ისევ რუსეთში გადაიხვეწება.

რატომ? იმიტომ, რომ მას სოციალურ ქსელებში უკვე წამოაძახეს, პარტიის წევრებს მანქანები და ბინები რომ გააყიდინე მომავალი თანამდებობების სანაცვლოდ, იმ ფულს ახლა რომ ხარჯავ, დაბრუნებას რანაირად აპირებო?

აქ ჩნდება კითხვა: თუკი გახარიას „მავნები“ აფინანსებენ, ანუ „ნაცებმა“ მოისყიდეს, მაშინ რატომღა უნდა გაეყიდინებინა პარტიული ბოსებისთვის მანქანები და სახლები? ჯერ ერთი, საკითხავია, „ნაცებმა“ რის სანაცვლოდ გადაიბირეს და მეორეც – რატომ უნდა დახარჯოს მხოლოდ თვითონ, სხვებმაც ხომ უნდა გაიკრან ჯიბეებზე ხელი? მოვა დრო, გახდება ეს კაცი ხელახლა პრემიერი (გვერდები არ აუდგეთ იქამდე), ჩამოურიგებს ხელახლა თანამდებობებს და იქიდან ამოიღებენ დღევანდელ დანახარჯებსაააა... გასაგებია? პოლიტიკა მსხვერპლს ითხოვს, გენაცვალეთ, მა როგო გინდათ, ვარდი უეკლოდ ვის მოუწყვეტია?!

რას გვპირდება გახარია თბილისის მერობის შემთხვევაში? კი ჰგავს პროგრამით თავის ძირითად კონკურენტს, ნიგერიელ უნჯგუბუნჯგუს, მაგრამ მაინც აქვს რაღაც განსხვავებული – მეო, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თბილისი უნდა იყოს მეგაპოლისიო, დედაქალაქის გარშემო უნდა აშენდეს მეგაპოლისებიო.

ამონარიდი ვიკიპედიიდან: „მეგაპოლისი (მეგაქალაქი) – საქალაქო განსახლების ყველაზე მსხვილი ფორმა. სტიქიურად ყალიბდება მეზობლად მდებარე დიდი რაოდენობით საქალაქო აგლომერაციების შეზრდის შედეგად. მისი ძირითადი მახასიათებელია ხაზოვანი განაშენიანება, რომელიც ძირითადად სატრანსპორტო მაგისტრალებს მისდევს. ტერმინი პირველად გამოიყენეს 1957 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოსტონიდან ვაშინგტონამდე გადაჭიმული ურბანიზებული არეალის აღსაწერად, რომელსაც ბოსვაშის სახელით იცნობენ“.

ესე იგი, გახარია ტრასების აქეთ-იქიდან დაიწყებს სახლების (კორპუსების) მშენებლობას და განავითარებს მეტროს ხაზებს.

ვერ გაიგეთ, ხომ? უკეთესად აგიხსნით: მაგალითად, ლილოდან რომ გავდივართ, სანამ სართიჭალაში მივალთ, მინდვრებია, ტრასაა, ჯართის ჩამბარებელი პუნქტებია... აი, აქ უნდა გავაშენოთ ცათამბრჯენები და თბილისს შემოვუერთოთ სართიჭალა, როგორც კონგლომერატი. მერე გადავალთ პატარძეულისკენ, მერე ბადიაურისკენ, მელაანისკენ და ასე შემოურთდება კახეთი დედაქალაქს ახალ მეგაპოლისად.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ოთარ ჭილაძე

ჩანაწერები



ჩვენ ისე პატარები ვართ, ღმერთს მიკროსკოპითაც გაუჭირდება ჩვენი დანახვა. ამიტომ ვავიწყდებით ასე ხშირად.

●

მე რომ ნება მომცეთ, ასე წავაწერდი სამასი არაგველის ძეგლს: „ომი წაგებული იყო, მაგრამ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ“.

●

საქართველო იმ გემსა ჰგავს, საჭე რომ გაფუჭებია, ანძები რომ დამტვრევია, კურსი რომ დაკარგვია, ეკიპაჟს რომ მიუტოვებია, მაგრმ ტრიუმი საჭმელსასმელის დიდი მარაგით აქვს ამოვსებული.

●

„დაყავი და იბატონე“ — დღესაც ძალაშია ეს, მართლაც გენიალური ფორმულა ყველა დამპყრობლისათვის.

●

სამშობლოზე უნდა ილაპარაკო მოკლედ და გასაგებად, როგორც მომაკვდავები ლაპარაკობენ.

●

ქართველს შეუძლია იყოს თავისი ხალხის პოეტი და, ამავე დროს თავისი ხალხის დამპყრობელი ხალხის-გენერალიც (იცით, ხომ? — ვისზეა ლაპარაკი თ.შ.).

●

ადამიანს არ შეუძლია არაფრის დამორჩილება, დაპყრობა, გარდა საკუთარი თავისა.

●

როცა კაცი რაღაცას იხსენებს, უკან კი არ იხევს, წინ მიდის, წარსული გადააქვს მომავალში.

●

პოეტები გიჟები არიანო, ამბობენ ხალხში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს გიჟებიც პოეტებაც ჩათვალოთ.

●

ვისაც ებრძვი, იმას ემსგავსები.

●

თუ დანარჩენ კაცობრიობას ძმის მკვლელობა ადევს ცოდვად, ჩვენ, ქართველებს — ჩვენი განსაკუთრებული ცოდვა გვაქვს — მამის მკვლელობა! ბევრი რამ ამ ცოდვის გამო მოგვდის და კიდევ დიდხანს ვერ ამოვალთ, ალბათ, ამ ცოდვისგან, თუკი საერთოდ ამოვალთ როდისმე.

●

ქართული მწერლობაც ისეთივე ეროვნული და, თუ გნებავთ, ისეთივე სახელმწიფოებრივი ფენომენია, როგორიც, მაგალითად, სამეფო დინასტია, ანდა მართლმადიდებელი ეკლესია და, ამიტომ ვინც ქართულ მწერლობას უპირისპირდება, ის ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ეროვნულ შეგნებას უპირისპირდება ფარულად.

●

თუ მართლა შეგტკივა ჩემზე გული, ნუკი მომატყუებ — ბედნიერი ხარო — გამარკვიე რატომ ვარ უბედური.

●

გუშინ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და, ამიტომაც, თქმას აზრი ჰქონდა, დღეს კი ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ თქმას აზრი არა აქვს.

●

დღევანდელი მსოფლიო ხელახალი, ანდა, საბოლოო გამოღვიძების ფაზაში იმყოფება და ჩვენც ყველანი ერთნაირად უნდა განვიცდიდეთ, ეს გამოღვიძება ჩვენივე წარმოდგენის, ჩვენივე ფარული ოცნებისა და იმედის უდღეური ნაყოფი არ აღმოჩნდეს ბოლოს.

●

თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს შენს ნებაზე ცხოვრებას — პირიქით, თავისუფალ კაცს მეტი თავშეკავება მოეთხოვება, ვიდრე მონას — ძალიან არ მინდა, რომ მონა ვიყო.

●

7 აპრილი (1989 წ.!) ისევ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით. ისევ დაიძაბა ქალაქში (ქვეყანაში) მდგომარეობა. ცირკთან ჯავშნიანი მანქანები დგანან... ჩვენი ყველაზე დიდი მტერი, რომელთანაც ვერაფერს გავაწყობთ, ჩვენი უთავობაა!!! ... მაგრამ მე, მაინც ჩემს უთავო ხალხთან დავიღუპები!!! სხვა გზა არ არსებობს და ესეც თავისებური ბედნიერებაა!!!

●

ადამიანი თავისთავად, არც კეთილია და არც ბოროტი, მაგრამ გარემოებისდა მიხედვით, ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც. ამიტომ, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი უბედურია და მისი მარტო დატოვება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა ჰყავდეს გვერდით ვიღაცა, ვისაც კალთაში ჩაუდებს ათასნაირი საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებულ თავს.

●

ჩვენ თუ მართლა თავისუფლებას ვესწრაფვით, ანუ, მართლა თავისუფლებისათვის ვიბრძვით, ჩვენს შორის ნებისმიერი დაპირისპირება — სოციალური იქნება ის თუ ინტელექტუალური — დაუშვებელია. ჩვენ ყველანი ერთად უნდა გავთავისუფლდეთ: ურწმუნონიც და მორწმუნენიც, უვიცნიც და მცოდნენიც, უცოდველნიც და ცოდვილნიც, უპოვარნიც და მდიდრებიც, უნიჭონიც და ნიჭიერნიც... არც ერთი ხალხი მარტო მორწმუნე ან მარტო მდიდარი ადამიანებისაგან არ შედგება, სადაც ალხანაა, იქ ჩალხანაცაა. რასაკვირველია, თუკი ხალხი ვართ და არა ტომი, ეთნიკური ჯგუფი, ანდა კიდევ უარესი — რელიგიური სექტა. ჩვენ, საბედნიეროდ, ხალხი ვართ, თანაც ერთ-ერთი უძველესი ხალხი დღევანდელ მსოფლიოში და უპირველეს ყოვლისა, დადასტურებულია ჩვენივე ისტორიით, ჩვენივე ბუნებით, ჩვენი კულტურით...

●

თავგამოდებული პატრიოტობა ეჭვს ბადებს — რაღაც აწუხებს ასეთ კაცს — წარმომავლობა? ვიღაცის ჯავრი? პატრიოტი ვარო — კი არ უნდა იყვირო, ისეთი რამე უნდა მოიმოქმედო (ან შექმნა) ხალხმა თქვას: პატრიოტი ყოფილაო!

●

ბავშვობაში, საითაც უნდა გაიხედო, დედის საკინძის ღილი ციმციმებს ყველგან!!! დედის საკინძის ღილითაა შეკრული ქვეყნის უბე!!! უფრო სწორად, უნდა იყოს შეკრული. დღევანდელ ცხოვრებას დედის საკინძის ღილი აკლია სწორად.

●

არავის გადარჩენა არ შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის გარდა — ასე რომ, განსაცდელში ჩავარდნილს ხელს თუ არ უწვდის, საკუთარ თავს ღუპავს პირველ რიგში.

●

ჩვენ ხალხი კი ვართ, ადამიანი აღარ გვირევია და ამიტომაც ვიტანჯებით ასე — არ ვიცით, რა გვინდა, ანდა რა ვიცით, რატომ გვინდა, რაც გვინდა, მაგრამ რაკი არ ვიცით რა გვინდა, იმის გაგონებაც არ გვინდა, რაც არ გვინდა.

●

ცუდია, როცა ბრძენს ნამჯას უყრიან, ვირს კი ჭკუას ეკითხებიან. ასეთი „შეცდომა“, ძირითადად, ხელისუფალთ მოსდით, რადგან ბრძენის თვალში საკუთარ სიპატარავეს ხედავენ, ვირის თვალში კი — გულუბრყვილო აღტაცებას!

●

ვინც გარეწარს ხელს ართმევს, თავადაც გარეწარია. გარეწრობა გადამდებია, შეხებითაც გადადის. ამიტომაც დავლპით ზეზეულად. გარჩევა არ არის. ან გვეშინია, ან გვერიდება, ან იმ წუთას ასე მიგვაჩნია საჭიროდ. მეორე წუთს კი შენც იმისთანა ხდები, შენდაუნებურად. შენდაუნებურად კი არა, შეგნებულად, მიზანდასახულად, რადგან იცი, როგორ უნდა მოიქცე და მაინც ისე იქცევი, როგოც არ მოიქცეოდი, სიმტკიცე რომ გქონებოდა, ღირსება რომ შეგენარჩუნებინა. არ ჩამოვართვათ ხელი გარეწრებს, თუ გინდათ, რომ გადავრჩეთ. ყველანი გადავრჩებოდეთ. ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ცხოვრება ყველა სატკივარს ჩაგვიწყნარებს თანდათანობით და, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ენით უთქმელი შვებითა და ნეტარებით ვიგრძნობთ... თუმცა არა! ჩვენ შეიძლება ვერ ვიგრძნოთ, მაგრამ ჩვენივე სიბინძურიდან, ჩვენივე სიბნელიდან პეპელასავით ამოფრინდება ჩვენი განწმენდილი და, რაც მთავარია, გადარჩენილი სული!

●

ქვეყნის გადარჩენა არ შეიძლება, სანამ არ გარდაიქმნება თავად ადამიანი. უფრო სწორად, ადამიანის გარდაქმნა თავისთავად გამოიწვევს ქვეყნის გარდაქმნასაც. ჩვენ კი როგორ ვიქცევით? ერთსა და იმავე ადამიანებს ვავალებთ ქვეყნის დაქცევასაც და აშენებასაც. შედეგიც ნათელია.

●

სხვათაშორის, ჩვენ თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის. საკმარისია, დავმშვიდდეთ, დავდგეთ — ისე გავითქვიფებით დრო-ჟამის დინებაში, ვერც კი შევამჩნევთ.

ნელ-ნელა ვეჩვევით იმ აზრს, რომ ქართველი ერი საქართველოშიც კი არ არის საჭირო, რომ ქართველის სმენა „ბიგ-ბენის“ ხმას უკეთ აღიქვამს, ვიდრე, ვთქვათ, სიონის ზარისას...

●

რატომ გარბიან საქართველოდან ქართველები? მარტო ეკონომიური სიდუხჭირის ბრალია? პოლიტიკური მოსაზრებით სტოვებენ სამშობლოს? მე მგონი, უფრო სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველებს მობეზრდათ ქართველობა. დაიღალა, გაწამდა. ქართველობა მხოლოდ ეროვნება არ არის — გარკვეული თვალსაზრისით სასჯელიცაა, და, რაც ყველაზე ძნელი ასატანია, სასჯელია ჩაუდენელი დანაშაულისთვის. მხატვრულად და ვთქვათ, ქართველი ძირგახვრეტილი ნავის მგზავრია და, გადარჩენა თუ უნდა, განუწყვეტლივ წყლის სახაპავი უნდა ეჭიროს ხელში — ერთი წამითაც თუ მოხუჭა თვალი, ნავი წყლით აივსება. ეს ნავი მისი სამშობლოა, საქართველო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უბურღავდნენ ძირს აშკარა თუ შენიღბული მტრები. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაზე ვერაგული გამოსავალი ნახა საქართველოს მოსასპობად — ქართველი „გაათავისუფლა“ — ქართველობისაგან, ანუ თანდათანობით დაუჩლუნგა, მოუსპო ეროვნული ღირსების გრძნობა. აქედან გამომდინარე, ქართველის „გადაჯდომა“ ძირგაბურღული ნავიდან (საქართველო) სხვა, უფრო საიმედო ნავში (რუსეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, გერმანია, ...) სამშობლოს ღალატად კი არ ითვლება, არამედ გადარჩენად. გაქცეულებს არა თუ არ რცხვენიათ, უკაცრავად, გამომწვევადაც უჭირავთ თავი — აი, როგორი ჭკვიანები, როგორი მოხერხებულები აღმოვჩნდით ჩვენო! დარჩენილებს დასცინიან კიდეც, რას უდგეხართ, წამოდით მაგ ძირგახვრეტილი ნავიდანო.

●

რა შეიძლება კაცმა დღეს უსურვოს ქართველ ხალხს?! კითხვა! ყველამ წიგნი უნდა აიღოს ხელში, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა, და იკითხოს, იკითხოს, იკითხოს... ყველაფერს დრო და ვარჯიში სჭირდება. ჯერ თვალს გაიწაფავ, მერე რაღაცას მიხვდები. მერე მოგეჩვენება, რომ მარტო შენ იცი, რაც იცი, რაც ეს წუთია ამოიკითხე წიგნიდან.

●

ახლა ლიკანში უნდა ვიყო უკვე, მე კი არაფერი გამიკეთებია საამისოდ. ვნახოთ, ამჯერად ვინ „გაიღებს მოწყალებას“, ვინ გადაიხდის ჩემი საგზურის ფულს, რომლის ყიდვაც თავად არ შემიძლია — ექვსი პოეტური კრებულის, რასინის, ბაირონის, პუშკინის, ლონგფელოს მთარგმნელს, ოთხი გამოცემული (?!) რომანის ავტორს (1995 წ!!) ასეთია სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში იმ ხალხისა, რომლებსაც ღირსებისა და სინდისის მეტი აღარაფერი გააჩნიათ და ისიც ეეჭვებათ, სჭირდება თუ არა ვინმეს მათი ღირსება და სინდისი!

მეფე ვახვახ ათასმეექვსე კოდალაშვილების „სასტავიდან“

ალბათ გახსოვთ, ამას წინებზე ე.წ. მწერლებმა ამბოხი რომ მოაწყეს და კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული კონკურსი („ლიტერა“) ჩაშალეს. თუ ამბოხის შესახებ გახსოვთ, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რა ჩემი ფეხები უნდოდათ და რას დაობდნენ. ჩვენაო, ქართველი მწერლები უარს ვამბობთ კონკურსში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ კულტურის მინისტრმა დიდ ქართველ ჟურნალისტს, ემა გოგოხიას მიკროფონი წაართვაო. ემა ნამდვილად დიდია იმ მხრივ, რომ ძაან დიდრონი ბიოგრაფია აქვს, ერთი მეტეორის მონატეხი

არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ წისქვილის ქვა დღესაც ტრიალებს. ემაზე ისეთებს ჰყვებიან... ყურო, ნუ გაიგონებ, თუ გაიგონებ, ვერ დაიჯერებ. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო და ვინმე უწიგნურ ემას რეკლამა არ ვუკეთო, ეგრევე გადავალ საქმეზე: მას შემდეგ, რაც მინისტრმა ვიღაც კორესპონდენტს მიკროფონი წაართვა, ქართველი მწერლები (მათ ხანდახან ნატაშა ლომოურის მწერლებსაც ეძახიან) აღშფოთდნენ და კონკურსი ჩაშალეს. თან იქვე მიაყოლეს, ამას კიდევ იმიტომ ვჩადივართ, ჟიურის მეხუთე წევრად წულუკიანმა პროფესორი იოსებ ჭუმბურიძე რომ დაგვინიშნაო, ამით დემოკრატიის მთავარი პრინციპი დაირღვაო, სად გაგონილა, სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი დანიშნოს, საბჭოთა პერიოდი ხო არ არიო?! არადა, ამ საკითხში ის უფრო საინტერესოა, სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც კონკურსში 500 ათას (ნახევარ მილიონ) ლარს იძლევა, თავისი წარმომადგენელი რატომ არ უნდა ჰყავდეს, ან აქამდე რატომ არ ჰყავდა? ვინმე ლელა კოდალაშვილმა (მწერალმა) მოგვიანებით უდიდესი პრინციპულობით განაცხადა, ეს ფული ჩვენია, ამ ფულს ვერავინ წაგვართმევს, როცა თეა წულუკიანი ჯანდაბაში წავა, მაინც ჩვენ დავხარჯავთო. გაიგონეთ? ეს ფული კოდალაშვილისა და მისი დაქალ-ძმაკაცებისა ყოფილა, სამშობლოს ვალი აქვს მათი, ჩვენც ვალი გვაქვს... ჩვენს წინაპრებსაც ვალი ჰქონდათ კოდალაშვილებისა, ეხლა უნდა გავისტუმროთ, სხვა გზა არ არი!

და იცით, კიდევ ვისი ვალი გვაქვს? პოეტ ვახტანგ ჯავახაძისა! ესეც იქ იყო, ესეც გაერია ე.წ. დიდი (ცნობილი) და ახალგაზრდა მწერლების მარაქაში, ამანაც გააპროტესტა... მართალია, ხეირიანად ვერ გაიგო, რას აპროტესტებდნენ, მაგრამ მაინც აჰყვა მიხეილ სააკაშვილის ხელის გოგო-ბიჭების ფეხთა ხმას.

არადა... აქამდე ვიცოდი, რომ ბატონი ვახტანგი თავმდაბალი პიროვნება იყო, ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთ რამეს ამბობს: „ახლაც არ ვარ დარწმუნებული, რომ გავა დრო და პირადად მე დავრჩები, როგორც მწერალი. შეიძლება, „უცნობის“ გამო დავრჩე, გალაკტიონის ხათრით. მაგრამ ჩემი ლექსებით დამიმახსოვრებენ თუ არა, არ ვიცი. ჩემთვის ცოტა ტრაბახის ელემენტია ამ ფრაზაში, როცა ადამიანი ამბობს, მე მწერალი ვარო“.

ვფიქრობ, გულახდილობით მოუვიდა, როცა თქვა, შეიძლება „უცნობის“ გამო დავრჩეო, გალაკტიონის ხათრითო, ჩემი ლექსებით დამიმახსოვრებენ თუ არა, არ ვიციო.

სამაგიეროდ მე ვიცი, ბატონო ვახტანგ და უნდა გითხრათ: არ დაგიმახსოვრებენ, არა, რადგან რასაც თქვენ წერთ, ეს არ არის პოეზია.

სხვათა შორის, არ ვეთანხმები პოეტს, როცა იძახის, შეიძლება ჩემი სახელი გალაკტიონის ხათრით დარჩესო... კი, მაგრამ ბუღაძე? ტარასა მოსი? კოდალაშვილი? ქიბროწაშვილი? ამანოიძე? იმანაური? შამუგია? რატი ამაღლობელი? განა ამათ რომ იცნობ და კონკურსის „პონტში“ „დაუპადერჟკებ“, ეს ცოტაა? განა ამ „ვარსკვლავებთან“ ნაცნობობა კი არა, მეგობრობა არ უკვდავგყოფს, როგორც შემოქმედს? ჩემი აზრით, ეს სრულიად საკმარისია... მეტიც, თუ ამათ იცნობ, თუ ამათთან მეგობრობ, შენ გაქვს უფლება, სისულელეებიც წერო, კონკურსებიც

ჩაშალო და რაც მთავარია, მინისტრების გადაყენებაც მოითხოვო, თანაც კატეგორიულად. დიახ, შენ არ ხარ ვახტანგ მეფე, არ ხარ გორგასალი, არც ისა, არც ესა, მაგრამ ვახტანგ მეათასე ხომ ხარ? იქნებ ათას მეხუთასე ხარ? არ აქვს მნიშვნელობა, ბატონი ჯავახაძე ამ საკითხს ასე უყურებს:

„ვახტანგ მეფე
ღმერთს უყვარდა
მე ვარ ვახტანგ არამეფე,
მე ვარ ვახტანგ მეათასე,
მე არასდროს გამიფენენ
ხალიჩებს და ფიანდაზებს,
მაგრამ ვერკი შემაყოვნებს
ხვიარა და ზეხვიარა, –
რაც არ უნდა იყოს, მაინც
ექვსი მეფის
სეხნია ვარ“.

ჰო, მაშ, რაც არ უნდა იყოს, მაინც ექვსი მეფის სეხნიაა (გაიგონეთ, ამ გაზეთის რედაქტორო?), ხალიჩებსა და ფიანდაზებს არასდროს გაუფენენ, მაგრამ არც მთლად ხელიდან არი წასული, მაგარი მეფეების სეხნიაა. მეტიც, ერთხელ ვაკანსიაც კი დაესიზმრა:



„სული ჩემი მოლოდინის
მეცამეტე საკანშია
და მეშვიდე – მხოლოდ
ერთხელ დამესიზმრა – ვაკანსია.
თუ ჩემს საკარმიდამოში
რომელიმე ჩავა ხიპი,
თუნდაც ჩვენებური იყოს,
მაინც შევეჯავახები.
სიგელები მაქეზებენ –
პაპის გადამალულები, –
უკან უნდა დავიბრუნო
საჯავახოს მამულები.
არც შენ უნდა დაგივიწყო,
მშობლიურო ჯავახეთო,
მერე სახლში დავბრუნდე და
სარკეებში ჩავიხედო.
მინდა ციდან რეკვასავით
ჩამომესმას: ვივატ, ვახო! –
უფალს თავი შევაყვარო
და ცოტახანს ვივახვახო“.

შეიძლება ასეთი მდარე ლიტერატურული ცუღლუტობა და სიტყვებით ჟონგლიორობა ზოგს ხიბლავს, მაგრამ იმის საფუძველს მაინც არ იძლევა, რომ ავტორს რომელიმე პრემია მივანიჭოთ და თანხაც ვაჩუქოთ. ბატონ ვახტანგს თავისუფლად შეუძლია (როგორც თავისუფალი სიტყვისა დამცველს), სახლში ოჯახის წევრებთან ივახვახოს, შეეჯავახოს, ვაკანსიაც მოითხოვოს... ხალიჩებსა და ფიანდაზებს თუ არ გაუფენენ, ვახვახს მაინც ხომ არ დაუშლიან? რაც არ უნდა იყოს, მაინც ექვსი მეფის სეხნიაა, არაფერი შეგეშალოთ!

ჩვენს მეათასმერამდენეღაცა მეფეს ზოგი ლექსი აქვს, ვერც თავს გაუგებ, ვერც ბოლოს. ასეთი გახლავთ ერთკუპლეტიანი „ნაწარმოები“ სათაურით: ნეტავ?

– ნეტავ შოთას ანდა ვაჟას
ვინ ასწავლა წერა-კითხვა?
– დაანებეთ თავი ნაჯახს:
ვერ ამოშლით წერაქვითაც!

მართლაც საინტერესოა, ნეტავ შოთას და ვაჟას ვინ ასწავლა წერა-კითხვა? უფრო შორს რომ წავიდეთ, ნეტავ შავთელს, ჩახრუხაძეს ანდა თმოგველს ვინ ასწავლა წერა-კითხვა იმ დროს, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ არ იყო „მეფე“ და არც „სანტექნიკი“ ლომაია იყო განათლების მინისტრი?

ბატონ ვახვახის პოეზიაში არის ისეთი მომენტებიც, როცა შეურაცხყოფა „მიეყენება“ მთელ ქართველურ ერს. მაგალითი გნებავთ? აგერ, ბატონებო და ქალბატონებო, ინებეთ:

კაცია-ადამიანი!!!
არ დაელია ლუარსაბების
ქვეყანას პურის ჭამის საბაბი.
უცხოვრია თუ უარსებია –
ყველა ქართველი ლუარსაბია.

ლუარსაბების ქვეყანას პურის ჭამის საბაბი არ დაელიაო, ყველა ქართველი ლუარსაბიაო... სანამ დედის გინებას დაგვიწყებს გარითმულად, უნდა ვუთხრათ, რომ ეს არ არის პოეზია. დიახ, მეფეო (მეათასევ და უფრო მეტოვ), არ გეკადრებათ ეგეთი მიდგომა – რას ჰქვია, ყველა ქართველი ლუარსაბია? არ დამიწყოთ, ყველა ქართველი ზარმაცი და ჭამის მოყვარულიაო. სხვათა შორის, ამას წინებზე ვიღაცა ლაპარაკობდა ტელევიზორში, ყველა ქართველში არის ლუარსაბიო. არ გამოვრიცხავ, თქვენი „პოეზიის“ გავლენის ქვეშ იყო და ბოდავდა. ბოლოს მიხვდა, კარგად რომ არ გამოუვიდა და გადააკეთა, ლუარსაბი მშრომელი და კეთილი იყოო, არ დაიზარა, სალოცავში ავიდა, ღმერთს შვილი სთხოვა, ამხელა მანძილის გავლას მაშინ დიდი ენერგია სჭირდებოდაო. გამოდის, ლუარსაბი ყოფილა ქართველთა ეტალონი... მაგრამ ვზივარ და ვფიქრობ, სად ერეკლე, სად პაპაჩემის ყურებიანი ქუდი კი არა, სად ლუარსაბი, სად საქართველოს მეათასე თუ მეათასხუთასე მეფე ვახვახი?!

●

ერთი წუთით, აქ დამთავრებას ვაპირებდი... მაგრამ რამდენიმე წუთით უნდა დაგაყოვნოთ: სანამ მეფე ვახვახის „შემოქმედებას“ გაცნობდით, მას ახალი „შედევრი“ გაუშვანშვალებია და ისიც დაუდგენია, რომ არის ვახტანგ ათასმეექვსე:

რას მიქვია მეცხრამეტე
ლუდოვიკო! –
მირჩევნია მუდოსავით
მუდო ვიყო,
ანდა ვიყო ვახტანგ
მერომელიღაცა,
ვინც ფრანგების მეფესავით
ვერ იღვაწა
და რომელსაც შეაჩეჩეს
მესტამბეთა
სიგელი და ფარანი და ესტაფეტა,
რათა გაჰყვეს სადიპლომატიო
გემებს
და სინოპში ჩაუტანოს დიოგენეს
(კმარა! შენ ხარ ვახტანგ
ათასმეექვსე და
რიგი აღარ დაარღვიო მელექსეთა!).

კმარა! ეს კაცი გახლავთ ათასმეექვსე (1006-ე), არც მეცხრამეტე, არც მეოთხე და არც ათასმეხუთასე! ეგღა აკლია, მეცხრამეტე ლუდოვიკო იყოს... აქ, მეგობრებო, ეჭვი მიჩნდება – ვფიქრობ, პოეტს ლუდოვიკო მეთოთხმეტის გათათხვა უნდოდა, სულხან-საბა რომ ალოდინა, მეთხუთმეტედ რომ მიიღო და ხელცარიელი გამოუშვა. აბა, იმ კაცთან რატომ ასწორებს ანგარიშს (ლუი ანტუან დე ბურბონი), 1830 წლის 2 აგვისტოს მხოლოდ 20 წუთით რომ იმეფა? იმას თავისი გაჭირვება არ ეყოფოდა?

ბატონი ვახტანგ ჯავახაძე მუდამ იმაზე სწუხს, მუდამ იმაზე ჩივის, რაზეც ოცნებობს, მაგრამ უკვე გვიანია, წავიდა, გაასწრო მეფეებისა და თავად-აზნაურთა პერიოდმა. კაცი ვერ მოესწრო მეფობას, ვერ ეღირსა, მაგრამ მაინც არ იხევს უკან, გინდათ თუ არა, ვახტანგ მეფე გახლავართო, ათასმეექვსეო, რას მიქვია მეცხრამეტე ლუდოვიკო, მირჩევნია მუდოსავით მუდო ვიყოო. ამ ადამიანს გადაეცით ვინმემ, არ გინდათ, 5 წუთით საფრანგეთის მეფე იყოთ-თქო? დარწმუნებული ვარ, ისეა მონდომებული, 3 წუთზეც თანახმა იქნება. რა, 3-წუთიანი საერთასორისო ვახვახი არაფერს ნიშნავს?!

●

დაბოლოს... წეროს ბატონმა პოეტმა, არავინ უშლის, შეიძლება პერიოდულად კარგი ლექსებიც გამოურიოს, მაგრამ სანამ მეამბოხეტა რიგებში ჩადგება, ჯერ გაარკვიოს, ვინ არის ე.წ. ჟურნალისტი ემა გოგოხია, ვის უჭერს მხარს და რას ითხოვს ასე ჰაიჰარად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამოდონა კაცისთვის მიხეილ სააკაშვილის დაკრულზე „ტანცაობა“ და კოდალაშვილ-ქიბროწაშვილ-ტორესას „სასტავში“ გარევა უხერხულია! ბოლოსდაბოლოს, ექვსი მეფის სეხნიაა და ესეც რარაცას ნიშნავს

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

როგორ ხდება, რომ ზოგ ადამიანს კორონავირუსი არ ეკარება და შეიძლება თუ არა მედიკამენტით იგივე ეფექტის მიღწევა?

კორონავირუსი SARS-CoV-2, რომელმაც COVID-19-ის პანდემია გამოიწვია, შეიძლება კლიმატის ცვლილების შედეგი იყოს – ამ დასკვნამდე კემბრიჯის უნივერსიტეტის, პოტსდამის კლიმატის ცვლილების შემსწავლელი ინსტიტუტისა და ჰავაის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ. კვლევა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში Science of the Total Environment გამოქვეყნდა.

ატმოსფეროში საშუალო ტემპერატურისა და ნახშირორჟანგის დონის გაზრდამ გარკვეულ რეგიონებში ფლორისა და ფაუნის ცვლილებები გამოიწვია. სწორედ ასეთი ცვლილებები მოხდა ჩინეთის სამხრეთ ნაწილში, რამაც ტყეში მცხოვრები ღამურების მრავალი სახეობისთვის შესაფერისი გარემო შექმნა. ჩინეთის ჩრდილოეთის რეგიონებიდან იუნანის პროვინციაში 40 ახალი სახეობის ღამურა გადავიდა, რომელიც შეიძლებოდა კორონავირუსის სხვადასხვა ტიპის მატარებელი ყოფილიყო. მეცნიერებმა სამხრეთ -აღმოსავლეთ აზიის ეს ნაწილი ცხელ წერტილად დაასახელეს, რომელსაც სავარაუდოდ, SARS-CoV-2-ის წარმოშობა უკავშირდება.

კორონავირუსების უმეტესობა ღამურიდან ადამიანზე არ გადადის, მაგრამ ზოგიერთი ტიპი, სავარაუდოდ, სწორედ მათგან გავრცელდა: ახლოაღმოსავლური რესპირატორული სინდრომი (MERS-CoV), მწვავე რესპირატორული სინდრომი SARS-CoV-1 და SARS-CoV-2.

იმის მიუხედავად, COVID-19 ღამურებისგან გავრცელდა თუ ვუჰანის ბიოლოგიურ ლაბორატორიაში შეიქმნა, მეცნიერები დარწმუნებით აცხადებენ, რომ ვირუსის მუტაცია გარდაუვალია და დროთა განმავლობაში მეტი შტამი გაჩნდება. სადამდე მიგვიყვანს ვირუსის შემდგომი ევოლუცია?

კორონავირუსის ახალი შტამების გამოჩენა უფრო და უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს – ისინი სწრაფად და ადვილად ვრცელდებიან, უფრო მეტ ადამიანს აინფიცირებენ და მათ წინააღმდეგ ვაქცინები ნაკლებად ეფექტურია.

„ისინი უკვე იმდენია, რომ შეიძლება ბერძნული ასოები არ ეყოს, ამიტომ SARS-CoV-2– ის ახალ ვარიანტებს თანავარსკვლავედების სახელები დაერქმევა“ – ამბობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მარია ვან კერხოვი. ვცადოთ გავარკვიოთ რატომ აქვს ამდენი ვარიანტი SARS-CoV-2 და რა გველის მომავალში.

ბერძნულ ანბანში 24 ასოა და აქედან ათი უკვე კორონავირუსის სხვადასხვა შტამის სახელს ატარებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის ბოლოს ვირუსების ორი კატეგორია გამოყო. აქედან პირველი შეშფოთებას იწვევს, მეორე – ინტერესს. პირველ კატეგორიაში შედის ცნობილი „ალფა“, რომელიც დიდ ბრიტანეთში აღმოაჩინეს, სამხრეთაფრიკული „ბეტა“, ბრაზილიური„გამა“ და ინდური „დელტა“. მეორე კატეგორიაში შედიან: „ეტა“, „იოტა“, „კაპა“ და „ლამბდა“. სია უფრო გრძელი იყო, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მეცნიერებმა აღიარეს, რომ ვირუსის ზოგიერთი ვარიანტი უსაფრთხოა და გამორიცხეს ამ სიიდან. კერძოდ, ესაა „ეფსილონი“, „ზეტა“ და „თეტა“.

COVID-19 გავრცელებას აგრძელებს და სავარაუდოდ, უფრო მეტი ახალი შტამი გამოჩნდება. მათ უმრავლესობას არ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა, თუმცა, შესაძლებელია ვიხილოთ ისეთი შტამებიც, რომლებიც მეტად გადამდები იქნება, ან მეტად მძიმე დაავადებას გამოიწვევს.

მეცნიერები ამბობენ, რომ კორონავირუსის ევოლუცია შენელდება, მაგრამ მალე არა. ისინი იხსენებენ 2009 წლის ღორის გრიპის ეპიდემიას, როდესაც ვირუსი რამდენიმე წლის განმავლობაში ცირკულირებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მუტაციების სიჩქარის შემცირება.

ბევრი მკვლევარი იმედოვნებს, რომ SARS-CoV-2 ადამიანის კორონავირუსების მსგავსად ენდემური გახდება და საბოლოოდ, ჩვეულებრივ სეზონურ გაციებად გადაიქცევა. მაგალითად, ადამიანის კორონავირუსმა OC43 (HCoV-OC43), რომელიც ჩვეულებრივ გაციებას იწვევს, 1889 წელს ე.წ. „რუსული გრიპის“ პანდემია გამოიწვია და მილიონზე მეტი სიცოცხლე შეიწირა.

იმისათვის, რომ კორონავირუსი სეზონური დაავადება გახდეს, კაცობრიობამ მის მიმართ კოლექტიური იმუნიტეტი უნდა შეიძინოს, თუმცა ამის მიღწევას მოსახლეობის 70 პროცენტის ვაქცინაცია სჭირდება. ამასთან, ვაქცინები საკმაოდ კარგად უნდა იცავდნენ ვირუსის გადაცემისგან. ამ მხრივ კი დღევანდელი მონაცემები არც ისე საიმედოა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ „დელტა“ -შტამის მიმართ Pfizer- ისა და Moderna- ს ვაქცინების ეფექტურობა შემცირდა. ჩილეში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილი ლამბდა შტამისთვის ვაქცინაციის შემდეგ გამომუშავებული ანტისხეულები წინაღობას არ წარმოადგენს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტ მკვლევარს აეჭვებს კოლექტიური იმუნიტეტის მიღწევის შესაძლებლობა.

„ვფიქრობ, რომ დელტა ვარიანტის პირობებში კოლექტიური იმუნიტეტის გამომუშავება შეუძლებელია, ვინაიდან მას ვაქცინირებულების ინფიცირებაც შეუძლია“ – განაცხადა AstraZeneca-ს ვაქცინის ერთ-ერთმა შემქმნელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, სერ ენდრიუ პოლარდმა.

ახლახან, კოლუმბიაში კოვიდის ახალი, მიუ (MIU) შტამი იგივე B.1.621, აღმოაჩინეს. ახალი ვარიანტით ინფიცირების შემთხვევები დაფიქსირებულია სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიაციის ინფორმაციით, მუ ვარიანტს ისეთი მუტაციები აქვს, რომელმაც ის, შესაძლოა, ვაქცინების მიმართ რეზისტენტული გახადოს. გარდა ამისა, ჯერჯერობით უცნობია



რამდენ ხანს გაგრძელდება იმუნიტეტი. ადამიანის კორონავირუსების შემთხვევაში ის საკმაოდ ხანმოკლეა – რეინფიცირება შეიძლება 80 დღის ან ერთი წლის შემდეგ მოხდეს. მკვლევარები აცხადებენ, რომ SARS-CoV-2 შემთხვევაში ვაქცინაციის შედეგად გამომუშავებული იმუნიტეტი ასევე ერთი წლის განმავლობაში სუსტდება. ამასთან, სეზონურად ქცევაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კორონავირუსი ადამიანებს არ მოკლავს. მაგალითად, A ტიპის სეზონური გრიპიდან, რომელმაც თავის დროზე H1N1 ვირუსის (ესპანური გრიპი) პანდემია გამოიწვია, დღემდე ყოველწლიურად, 650 ათასამდე ადამიანი იღუპება. სავარაუდოდ, SARS-CoV-2 მსგავს გზას გაივლის, თუმცა, მუტაციების დაბალი სიჩქარის გამო, სავარაუდოდ, ვაქცინების ყოველწლიურად განახლება საჭირო არ იქნება.

არის თუ არა ვაქცინა პანაცეა და აქვს თუ არა კაცობრიობას შანსი, რომ ვერაგ ვირუსს „საკუთარი ძალებით“ გაუმკლავდეს? თუ ახალი ზელანდიის მაგალითს გავითვალისწინებთ, სადაც ბოლო 6 თვეში COVID-19-ით მხოლოდ ერთი ადამიანი, 90 წლის ქალბატონი გარდაიცვალა, შეუძლებელი არაფერია. ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 20%-ია აცრილი, პანდემიის დაწყებიდან დღემდე ხოლოდ 27 ადამიანი გარდაიცვალა, როცა საქართველოში ყოველდღიურად, თითქმის ოთხი ამდენი ადამიანი გვეღუპება.

ახალმა ზელანდიის მთავრობამ COVID-19-ის ერთადერთი შემთხვევის გამო აგვისტოში საყოველთაო ლოქდაუნი გამოაცხადა. ქვეყნის ხელისუფლებამ შეზღუდვები მას შემდეგ დააანონსა, რაც ბოლო 6 თვის განმავლობაში პირველად, ერთ-ერთ მოქალაქეს COVID-19 დაუდასტურდა. შემთხვევა ოკლენდში დადასტურდა, რომელიც 1 კვირით ლოქდაუნის რეჟიმში მოექცა. მთელი ქვეყნის მასშტაბით კი მკაცრი შეზღუდვები 3 დღის მანძილზე გაგრძელდა.

და ბოლოს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კორონავირუსით ყველა ადამიანი არ ინფიცირდება. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთ შემთხვევებში დაცვის მექანიზმს გენეტიკური ფაქტორები ქმნიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში იგივე პრინციპი მუშაობს როგორც აივ ინფექციის დროს. ჯერ კიდევ 1994 წელს აღმოაჩინეს მამაკაცი, რომელსაც CCR5 გენის მუტაცია ჰქონდა. ამ მუტაციის წყალობით მამაკაცმა საშიში დაავადებისგან საიმედო დაცვა შეიძინა.

იგივე შეიძლება ითქვას კორონავირუსთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევში საუბარია RAB7A გენზე, რომელიც პასუხისმგებელია სხეულის უჯრედების ტრანსპორტირებაზე. თუ ეს გენი „გამორთულია“ მაშინ ACE2 რეცეპტორი უჯრედის ზედაპირამდე ვერ აღწევს. ცნობისთვის, სწორედ ACE2 რეცეპტორს იყენებს კორონავირუსი უჯრედებში შესაღწევად. ვინაიდან ასეთი მუტაციები ძალიან იშვიათია, მეცნიერებმა გადაწყვიტეს მოძებნონ მედიკამენტი RAB7A გენის შესაცვლელად.

ნელი თორდია
571 35 36 88

როგორ დაეხმარა შეყვარებული გამომძიებელი მკვლელს ციხიდან გაქცევაში

ამბავი, რომელმაც საბჭოთა კავშირი შეძრა

შემთხვევამ, რომელიც მოხდა 1990-იანი წლების დასაწყისში, „კრესტის" წინასწარი დაკავების იზოლატორში მოხდა, მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა. ქურდობისა და მკვლელობისთვის დაკავებულმა სერგეი მადუევმა, რომელსაც სიკვდილით დასჯა ელოდა, გამომძიებლის, ნატალია ვორონცოვას დახმარებით საპატიმროდან გაქცევა სცადა. ამ სტატიაში გიამბობთ როგორ დაიწყო „ციხის რომანი" დამნაშავესა და გამომძიებელს შორის და როგორ დასრულდა ეს უჩვეულო ისტორია.

მომავალი ქურდის, მკვლელის და ქალების გულთამპყრობელის, სერგეი მადუევის ცხოვრება პატარა ყაზახური ქალაქის ეზოში დაიწყო. საბჭოთა პერიოდში ყაზახეთი დეპორტირებული ხალხების საცხოვრებელ ადგილად იქცა. სერგეი მადუევიც ყაზახეთში, ერთ-ერთ ციხეში დაიბადა. მისი ჩეჩენი მამა და კორეელი დედა სასჯელს ადგილობრივ ციხეში იხდიდნენ, ამიტომ სერგეიმ სიცოცხლის პირველი წლები მავთულხლართებს მიღმა გაატარა. სერგეის ცხოვრება მშობლების გათავისუფლების შემდეგ უკეთესი არ გამხდარა. ბიჭი 6 წლის იყო, როცა მამამ ოჯახი დატოვა და საცხოვრებლად სხვა ქალთან წავიდა, დედა კი ალკოჰოლზე დამოკიდებული გახდა და სახლში საყვარლების მიყვანა დაიწყო. როგორც ხშირად ხდება, უპატრონოდ მიტოვებული ბიჭი ქუჩამ შეიფარა.

სერგეი მადუევი პირველად 1974 წლის აგვისტოში, ქურდობაში თანამონაწილეობისთვის დაიჭირეს და ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გათავისუფლებიდან 10 თვეში მადუევმა კოლექტივის სალაროდან 50 000 მანეთი მოიპარა და ამჯერად, 15 წლით გამოკეტეს. ციხეში სერგეი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. მალე მან თავი „კანონიერ ქურდად" გამოაცხადა, რაც ადგილობრივ კრიმინალურ ავტორიტეტებს არ მოეწონათ. არავინ იცის, ეს დაპირისპირება როგორ დასრულდებოდა, სერგეი რომ კოლონიაში არ გადაეყვანათ, საიდანაც 1988 წელს გაიქცა.

მადუევზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა, მაგრამ მისი პოვნა და დაჭერა ადვილი არ აღმოჩნდა. ბოროტმოქმედმა გაქცევიდან რამდენიმე თვის შემდეგ როსტოვის ოლქში, სახლის ძარცვის დროს სამი ადამიანი მოკლა და მიიმალა. 1989 წლის ოქტომბერში მადუევმა ერთი გასროლით მოკლა ბინის დიასახლისი, რომელიც სახლში მოულოდნელად დაბრუნდა და მძარცველს შეეჯახა. რამდენიმე თვის შემდეგ, ბანდიტმა ათობით ადამიანის თვალწინ დაცხრილა ლენინგრადის ერთ-ერთი კაფეს თანამშრომელი, რომელმაც ზრდილობიანად თხოვა კაფეში შესვლამდე პალტო გაეხადა. მკვლელობის შემდეგ მადუევი კაფეს სტუმრებს მიუბრუნდა და ცინიკურად ჰკითხა – კიდევ ვინმეს ხომ არ უნდა?

ზოგადად, მადუევს „პუბლიკაზე თამაში" დიდ სიამოვნებას ანიჭებდა: იცვამდა ელეგანტურ კოსტიუმებს, ხელში მოდური ტყავის დიპლომატი ეჭირა, ბავშვებს ნაყინით უმასპინძლდებოდა, ტაქსის მძღოლებს ხურდას არასოდეს ართმევდა. ცივსისხლიანი მკვლელი ქალების მოხიბვლის ოსტატობასაც შესანიშნავად ფლობდა. იცოდა როგორ ეთქვა კომპლიმენტები, როგორ ეჩუქებინა ძვირადღირებული საჩუქრები და როგორ დაერწმუნებინა ისინი. მისი ვერც ერთი საყვარელი ვერ ხვდებოდა რა საშიში ადამიანი იმალებოდა დახვეწილი ჯენტლმენის საფარქვეშ.

დროთა განმავლობაში, სერგეი მადუევის შესახებ უამრავი მითი და ლეგენდა შეთხზეს. ხალხში ხმები დადიოდა, რომ ის მხოლოდ არაკეთილსინდისიერ ბიზნესმენებს ძარცვავდა, ხოლო ღარიბებს თანაგრძნობით ეპყრობოდა. ამის გამო ბანდიტს საბჭოთა რობინ ჰუდი" შეარქვეს. სინამდვილეში, სერგეი მადუევი იყო დაუნდობელი სოციოპათი, რომელიც სიამოვნებით კლავდა და სხვა ადამიანების გრძნობები არ აინტერესებდა.

სერგეი მადუევი 1990 წლის 8 იანვარს, რკინიგზის სადგურზე დააკავეს, როდესაც დამნაშავემ ტაშკენტი-მოსკოვის მატარებელში მოხვედრა სცადა. ბანდიტი სანკტ -პეტერბურგის "კრესტიში" გადაიყვანეს და ბრალი ძარცვისა და მკვლელობის დაახლოებით. 60 ეპიზოდში წაუყენეს.

დაკითხვის დროს მადუევი თავის სტიქიაში იყო: გამომძიებლებთან თეთრ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი ცხადდებოდა, სიგარეტს აუჩქარებლად ეწეოდა, ფილოსოფიურ თემებზე საუბრობდა, იღიმებოდა და ბევრს ხუმრობდა. ასეთი ქცევით ბოროტმოქმედი გარშემო მყოფებზე თითქმის ჰიპნოზურ გავლენას ახდენდა. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ლეონიდ პროშკინმაც კი აღიარა, რომ მადუევის მიმართ „გარკვეულ სიმპათიას" გრძნობდა და მასში ბანდიტს კი არა, სასიამოვნო და ქარიზმატულ პიროვნებას ხედავდა. ცხადია, ბანდიტს იმედი ჰქონდა, რომ პროკშინზე გავლენას მოხდენდა და საკუთარ უდანაშაულობაში დაარწმუნებდა, თუმცა, მანიპულაციებმა არ უშველა. მიუხედავად სიმპათიისა, რომელიც ბრალდებულის მიმართ ჰქონდა, პროკშინი გამამტყუნებელ განაჩენს დაჟინებით მოითხოვდა.

მადუევი ხვდებოდა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა, ამიტომ სასოწარკვეთილი ეძებდა ადამიანს, რომელიც მის ხიბლს დაემორჩილებოდა. მალე ის გამომძიებელი ნატალია ვორონცოვას პირისპირ აღმოჩნდა. ეს ერთადერთი ქალი იყო გამომძიებელი პროშკინის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განყოფილებაში. არა, მას ერთი შეხედვით არ შეყვარებია. ვორონცოვას, როგორც თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტს შეეძლო მშვიდად და აუღელვებლად გაეხსნა ყველაზე დახლართული კრიმინალური ჯაჭვი და ყველაზე საშიში დამნაშავეები გამოეაშკარავებინა. სწორედ ამ თვისებების გამო დაიქირავა ის სსრკ გენერალურმა პროკურატურამ. მადუევი მიხვდა, რომ ვორონცოვამ კარიერის შექმნას იმხელა დრო და ძალისხმევა შესწირა, რომ მის მსხვერპლად გაღებას ქურდისა და მკვლელის ღიმილისთვის არასოდეს დათანხმდებოდა, ამიტომ ფრთხილად მოქმედებას შეუდგა. თავდაპირველად, მან ვორონცოვას „სუსტი წერტილი" – სამართლიანობის გამძაფრებული გრძნობა აღმოაჩინა და მასზე გავლენის მოხდენა გადაწყვიტა. ბოროტმოქმედი ცდილობდა გამომძიებელ ქალთან მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა. დაკითხვების დროს ის ხშირად შორდებოდა თემას, უყვებოდა ვორონცოვას თავისი ოჯახის შესახებ, უზიარებდა თავის გრძნობებს და უყვებოდა ოცნებების შესახებ. რაც უფრო მეტს უსმენდა, ვორონცოვა უფრო რწმუნდებოდა, რომ მადუევი კარგი ადამიანია, უბრალოდ, ცხოვრება მისთვის ძალიან სასტიკი აღმოჩნდა. რაღაც მომენტში ქალი მიხვდა, რომ ამ კაცის გულისთვის ყველაფრისთვის მზად იყო და ასეც უთხრა. მადუევმა თბილად გაუღიმა და მკლავი მოხვია, რომელზეც ტატუ მოჩანდა – „თუ შემიყვარე, თავს დაიღუპავ".

1991 წლის 3 მაისის დილას, სერგეი მადუევმა საპატიმროდან გაქცევის მცდელობა განახორციელა. ის საგამოძიებო მოქმედებებისთვის მოსკოვში გადაჰყავდათ, როდესაც საკნიდან მცველებთან ერთად გამოსულმა რევოლვერი ამოიღო და ერთ-ერთ მცველს მუცელში ესროლა. დამნაშავე გასასვლელისკენ გაიქცა, მაგრამ რკინის კარი დაკეტილი დახვდა და მიხვდა, რომ თავისუფლებისკენ მიმავალი გზა მოეჭრა. სერგეიმ იარაღი იატაკზე დააგდო, ხელები ასწია და დანებდა.

მადუევმა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და თანამზრახველის დასახელებაზე უარი თქვა, მაგრამ მას უთხრეს, რომ რევოლვერის გადაცემა მხოლოდ ვორონცოვას შეეძლო, ვინაიდან დანარჩენებს ალიბი ჰქონდათ. ბოროტმოქმედს უთხრეს, რომ მისი მდგომარეობის შემსუბუქება მხოლოდ გულწრფელ აღიარებას შეუძლია და დამნაშავე ამ პირობას დათანხმდა.

გამომძიებლებმა მადუევსა და ვორონცოვას პირისპირ შეხვედრის საშუალება მისცეს, თუმცა მანამდე საკნის კედელში ფარული კამერა და მიკროფონები დაამონტაჟეს. გამომძიებლებს იმედი ჰქონდათ, რომ სერგეი და ნატალია წარუმატებელი გაქცევის შესახებ ისაუბრებდნენ, მაგრამ იმას, რაც შეხვედრის ოთახში მოხდა, არავინ ელოდა.

„მადუევმა ნატალიას ახლოს დაჯდომა თხოვა, რომ ჩურჩულით ელაპარაკათ, მაგრამ საუბარი მალე ხვევნა-კოცნაში გადაიზარდა და გაირკვა, რომ მათი ურთიერთობა ბევრად აღემატებოდა გამომძიებელსა და ბრალდებულს შორის არსებულ ურთიერთობას" – იხსენებს ერთ-ერთი გამომძძიებელი.

ვორონცოვა მეორე დღესვე დააპატიმრეს. თავდაპირველად, მან დანაშაულის აღიარებაზე და გაქცევაში თანამონაწილეობაზე უარი თქვა, მაგრამ როცა მადუევთან შეხვედრის დროს გადაღებული ფარული ვიდეო-კადრები აჩვენეს, მიხვდა, რომ დანაშაულის უარყოფას აზრი არ ჰქონდა. 1993 წელს სასამართლომ ნატალია ვორონცოვას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1993 წელი. სსრკ-ს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების ყოფილი გამომძიებელი ნატალია ვორონცოვა კამერის წინ დგას. სერგეი მადუევის გაქცევის მცდელობის შემდეგ, მან პირველად გადაწყვიტა კამერების წინ ეღიარებინა რამ აიძულა დანაშაულის თანამონაწილე გამხდარიყო.

„ამბობენ, რომ ქალების მოქმედებებში ლოგიკა არ არსებობს და თუ ლოგიკა არ არსებობს, ითვლება, რომ ეს არის სიყვარული, რომელიც არაფერს ითვალისწინებს. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ცუდი ვნახე და შემდეგ ეს ნათელი წერტილი (სერგეი მადუევი) გამოჩნდა და კისერზე ჩამოვეკიდე. ასე არ ყოფილა, თუმცა რა თქმა უნდა, მე მასში პირველ რიგში, მამაკაცს ვხედავდი. სამწუხაროდ, გრძნობასთან გამკლავება ვერ შევძელი. მე ბუნებით ძალიან ერთგული ადამიანი ვარ და 15 წელი ლოდინი რომ მომიწიოს, დაველოდები თუ ვიცი, რომ მას ვჭირდები... მე დაველოდები" – აღიარა ნატალიამ.

მას შემდეგ, რაც გამომძიებლისა და დამნაშავის რომანის შესახებ ყველამ გაიგო, მადუევმა მოულოდნელად პოზიცია შეცვალა. თუ მანამდე თავისი მხსნელის დაცვას ცდილობდა, ახლა განაცხადა, რომ ამ ქალის ბედი საერთოდ არ აინტერესებს. „სისუსტე შეიძლება ნებისმიერ ადამიანს უპოვო. დიახ, მე ვისარგებლე ვორონცოვას გრძნობებით, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფს სხვა არჩევანი არ მქონდა."

მალე გაირკვა, რომ გაქცევის გეგმის ჩავარდნის მიუხედავად, ვორონცოვამ მედუევის ცხოვრებაში მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გაქცევის მცდელობის გამო, გამოძიება შეფერხდა და გაჭიანურდა. 1995 წლის მადუევს ორი დადასტურებული მკვლელობისთვის დახვრეტა მიესაჯა, მაგრამ განაჩენის აღსრულება არ მოხდა, რადგან სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოცხადდა. შვიდი წლის შემდეგ მადუევი ციხეში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ნატალია ვორონცოვას ბედის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ზოგი ვერსიით, მან ციხიდან გამოსვლის შემდეგ სახელი და გვარი შეიცვალა, საცხოვრებლად ჟიტომირში გადავიდა და გათხოვდა. ყოფილი გამომძიებელი ცდილობს საკუთარ ცხოვრებაში წარსულის კვალი გააქროს და არ ურთიერთობს ჟურნალისტებთან.

მოამზადა
ნელი თორდია
571 35 36 88

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო. ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?

– სამოქალაქო კანონი ამ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– ითვლება თუ არა დაუბადებელი ბავშვი მემკვიდრედ?

– დიახ, ითვლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

* * *

– მაინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟების მაქსიმუმი.

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე- 3 ნაწილის მიხედვით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8000 ლარს.

* * *

მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსიდან ოჯახური ძალადობის მუხლი თავისი სანქციებით.

მუხლი 1261. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

– მაინტერესებს სამეზობლო სამართლის თემა.

– თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

თავი მეორე

სამეზობლო სამართალი

მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

მუხლი 176. დაუშვებელი ხელყოფა

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

მუხლი 177. საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს; დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა.

მუხლი 178. მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლება ნაყოფზე

1. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

მუხლი 179. ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის

1. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.

2. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

მუხლი 181. სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული, მაგრამ წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ურთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას. თუ შეუძლებელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, მაშინ სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება ნაკვეთებს შორის. თუკი ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო.

მუხლი 182. სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება

1. თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით, თუკი ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა.

2. თუ ორივე მეზობელი უფლებამოსილია ერთობლივად ისარგებლოს საზღვრად გამოყენებული ნაგებობით, თითოეულ მათგანს შეუძლია ნაგებობა მხოლოდ ისე გამოიყენოს, რომ ამით ხელი არ შეუშალოს მეორე მეზობელს თანასარგებლობაში.

3. ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება.

4. ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე.

პოლიტიკური მკვლელობები

მთავარი სამიზნეები – მსოფლიოს ლიდერები

პოლიტიკოსები, რომლებმაც სერიოზულად შეცვალეს ისტორია, ხშირად ხდებიან ტერორისტების, დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და უცხოელი აგენტების სამიზნეები. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ძალადობრივად გარდაიცვალა ათობით ლიდერი, უმრავლეს შემთხვევაში დამნაშავეები ვერ იპოვეს.

უკანასკნელი რეზონანსული მკვლელობა ჰაიტის პრეზიდენტის ჟოვენალ მოიზაზე თავდასხმა გახდა, რომელიც წელს 7 ივლისს განხორციელდა. პოლიციელებმა 28 ეჭვმიტანილი დააკავეს, რომელთაგან რამდენიმე უცხოეთის ქვეყნებთან კავშირშია მხილებული.

როდიდან გახდა პოლიტიკური მკვლელობები დასავლეთის ქვეყნებში ნორმა? ვისთვის არის სარგებლიანი იმ პოლიტიკოსების მკვლელობა, რომლებიც ისედაც მალე დატოვებენ პოსტებს? და რა უნდა ქნა, თუ 30 წელია, ვერ პოულობენ ქვეყნის მთავარი პოლიტიკოსის მკვლელს?

1. 2021 წლის 7 ივლისის ღამეს უცნობებმა ჰაიტის პრეზიდენტი **ჟოვენელ მოიზა** დაცხრილეს და მძიმედ დაჭრეს მისი ცოლი. შემთხვევის ადგილიდან გავრცელებულ კადრებზე ჩანს რეზიდენციის კედლები, რომლებიც ტყვიებითაა დაცხრილული — მოიზას 12 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ჰაიტის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ თავდასხმა განახორციელა დაჯგუფებამ, რომლის წევრებიც 26 თადარიგში გასული კოლუმბიელი სამხედრო და ორი ჰაიტური წარმომავლობის ამერიკელი არიან. 17 მათგანი დაკავებულია, რვა — გაქცეული, სამი — მოკლული.

ჰაიტიზე ვარაუდობენ, რომ მკვლელობა სხვა ქვეყნის ხელისუფლებებმა მოაწყეს: დამნაშავეები ერთმანეთს ინგლისურ და ესპანურ ენებზე ესაუბრებოდნენო. თუმცა ეს ვერსია დამტკიცებული არ არის.

მოიზაზე ეს პირველი თავდასხმა როდია. წელს, 7 ივლისს, პუტჩისტების ჯგუფის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სამარცხვინოდ დამთავრდა. ეს ამბავი ადგილობრივ ტელევიზიებს ცოცხალ ეთერში ჰქონდათ გაშუქებული. ტელეოპერატორ **ლუის ბლანკოს** ოპერატორი ტელეკამერა ხელში ბოლამდე ჰქონდა ჩაბარებული. ბლანკოს ოპერატორი ბოლამდე ეგონა, ეს ყველაფერი ფილმია, ბოლოს ბანდიტებმა ბლანკოც ტყვიებით ფეხებში ასროლეს